# საერთო გაზეთი

№16 (749)
ოთხშაბათი
1 მაისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.


## 29 აპრილს რუსთაველზე საქართველო იდგა






**ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 15 მაისს**

# 29 აპრილს რუსთაველზე საქართველო იდგა

## საქართველო უნდა მართოს ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ!



**„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლის ფრაგმენტები საყოველთაო-სახალხო შეკრებაზე**

2004-2012 წლებში ჩვენ გამოვიარეთ უმძიმესი წლები, როდესაც ქვეყანას არა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, არამედ გარედან დანიშნული რევოლუციური კომიტეტი, უცხოური აგენტურა მართავდა.

არადემოკრატიული წესით გარედან დანიშნული ადამიანების მმართველობამ მკაფიოდ დაგვანახა, თუ რამდენად მძიმეა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაკარგვის გარდაუვალი შედეგი.

ბევრს ჰგონია, რომ ამ დანაშაულების მთავარი მიზეზი სააკაშვილის და მისი თანამზრახველების არაჰუმანური, სადისტური და არაპატრიოტული ბუნება იყო. თუმცა, სინამდვილეში, ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებდნენ, გარედან, მათი პატრონებისგან იყო დაკვეთილი და მართული. სწორედ ამიტომ იყო, რომ რეჟიმს ჰქონდა მწვანე შუქი ყოველგვარ უმსგავსობაზე იმ უცხოელი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც დღეს სააკაშვილს, გვარამიას და კეზერაშვილს უმანკო კრავებად გვიცხადებენ და არსებული ხელისუფლების დასჯას ითხოვენ. ამ უცხოელებს დღეს ამოძრავებთ სურვილი, საქართველოში იგივე ადამიანების არაჰუმანური და სადისტური დიქტატურა დაგვიბრუნონ, რასაც არაფრის ფასად არ დავუშვებთ. როდესაც მწვანე შუქზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ რეჟიმის სადიზმი „ენჯეოებისგანაც“ სრული მხარდაჭერით სარგებლობდა.

მინდა გავიხსენო ინდოელი ლიდერის, ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვები მცირე ადაპტირებით: „არ არსებობს საკუთარი ქვეყნის იმაზე დიდი მტერი, ვიდრე უცხო ქვეყნის მიერ აღზრდილი ფსევდო-ელიტა“. უცხო ქვეყნის მიერ აღზრდილ ფსევდოელიტას რამდენიმე მთავარი თვისება გამოარჩევს. ის არის უსამშობლო, არ უყვარს არც საკუთარი ქვეყანა და არც საკუთარი ხალხი, რადგან მას სინამდვილეში, საკუთრად არ მიიჩნევს. პირიქით, ასეთ ადამიანებს საკუთარი ქვეყანაც და ხალხიც ეთაკილებათ. ასეთი ადამიანები იოლად ექვემდებარებიან გარედან მართვას, რადგან ისინი ყოველგვარი პრინციპებისგან არიან დაცლილი. სწორედ ასეთია დღევანდელი რადიკალური ოპოზიციის სახე და ასეთი იყო ამ ადამიანების სახე ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც.

როდესაც 2012 წელს გარედან დანიშნული უსამშობლო პოლიტიკოსების სისხლიანი რეჟიმი გავისტუმრეთ, ვფიქრობდი, რომ ჩემი მისია სრულად მქონდა შესრულებული. ქართველ ხალხს დავუბრუნეთ საარჩევნო უფლება, ციხიდან გავათავისუფლეთ 15 ათასი პატიმარი, სრულად აღვკვეთეთ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა, დავასრულეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მედიამონოპოლია, გავათავისუფლეთ ბიზნესი, ქვეყანას მოვუტანეთ გრძელვადიანი მშვიდობა და გაძლიერებული უსაფრთხოება.

ვფიქრობდი, რომ 2012 წელს ჩემი მისია სრულად შევასრულე. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს მიღწევები არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩვენ კვლავაც გვიწევს ბრძოლა თავისუფლებისა და სუვერენიტეტისთვის, რათა ავასრულოთ ილია ჭავჭავაძის შეგონება, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“. ამიტომ, პრინციპულად და თავდადებით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, **პირადად მე განვაგრძობ ბრძოლას საქართველოს, ჩვენი სამშობლოს სუვერენიტეტის სრულად აღსადგენად.**

2022 წლის დასაწყისიდან დღემდე, საქართველომ გადაიტანა ურთულესი ბრძოლა ომის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ბუქარესტის 2008 წლის სამიტის დაპირების მიუხედავად, საქართველო და უკრაინა არ გააწევრიანეს ნატოში და ორპირ ქარში დააყენეს. ყველა ასეთ გადაწყვეტილებას გლობალური ომის პარტია იღებს, რომელიც ნატოზეც და ევროკავშირზეც გადამწყვეტი გავლენით სარგებლობს და რომლისთვისაც საქართველოსაც და უკრაინასაც მხოლოდ საზარბაზნე ხორცის ფასი აქვს. მათ ჯერ 2008 წელს საქართველო დააპირისპირეს რუსეთთან, ხოლო 2014 და 2022 წლებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში უკრაინა ჩააყენეს. საქართველოს მიმართ გლობალური ომის პარტიის აგრესიის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მეორე ფრონტად ვერ აქცია, რასაც ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნების პირობებში ძალიან მარტივად მიაღწევდა.

საზოგადოებაში ხშირად კითხულობენ, მაინც რატომ იბრძვიან უცხოეთიდან ასეთი გამალებით „ენჯეოების“ გამჭვირვალობის წინააღმდეგ? ჩვენი გუნდის წარმომადგენლები ამ შეკითხვას სწორი მიმართულებით პასუხობენ, თუმცა, სრული სიმართლის თქმას ისინი მაინც ერიდებიან. სრული სიმართლე კი ისაა, რომ „ენჯეოების“ გაუმჭვირვალე დაფინანსება არის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება გარედან შეგიძლია დანიშნო. მიზანია, საქართველო არა ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების, არამედ გარედან დანიშნული „ღამურების“ - ახალი დროის სერგო ორჯონიკიძეებისა და გიგლა ბერბიჭაშვილების ხელით იმართებოდეს. ამის არდაშვება არის ჩვენი ვალი საქართველოს თავისუფლების იდეას შეწირული ქართველი მოღვაწეების წინაშე.

დღევანდელი საქართველო არ არის არც შევარდნაძის დროინდელი საქართველო და არც იანუკოვიჩის უკრაინა. **დღეს საქართველოს მართავს ძლიერი და ერთ მუშტად შეკრული პროფესიონალთა გუნდი, რომელმაც იცის სამშობლოს, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის ფასი. შესაბამისად, ურეიტინგო „ნაციონალებისა“ და „ენჯეოების“ ხელით ხელისუფლების შეცვლა დღევანდელ საქართველოში შეუძლებელია.** თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიფხიზლე უნდა დავკარგოთ და საქართველოს სუვერენიტეტისთვის გრძელვადიანი გარანტიის შექმნაზე არ უნდა ვიზრუნოთ. სწორედ საქართველოს სუვერენიტეტის გამყარებას ემსახურება ქართული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.

როდესაც ისეთ მოთხოვნებს აყენებენ, რომლებზეც წინასწარ იციან, რომ ხელისუფლება მათ არ გაითვალისწინებს, ცხადია, რომ ამ მოთხოვნების ერთადერთი მიზანი ხელისუფლებისთვის ხელოვნური უხერხულობის შექმნაა. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ იგივე ძალები, რომლებიც ორი და ოთხი წლის წინ რევოლუციებს გვიწყობდნენ, შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას აუცილებლად ახალი ძალით შეუტევდნენ და ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნებას კიდევ ერთხელ შეეცდებოდნენ. **ენერგიას, რომელიც შემოდგომისთვის უნდა დაეგროვებინათ, ახლა ისინი ქუჩაში ნაადრევად ანიავებენ.**

ამიტომ, ლგბტ-პროპაგანდისა და „ენჯეოების“ შესახებ კანონების ინიციირებას ორმაგი სარგებელი ჰქონდა: ერთი მხრივ, ამ ორი საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას ალტერნატივა არა აქვს და მეორე მხრივ, დასაგროვებელი ენერგიის ნაადრევი ხარჯვა ისედაც დასუსტებულ აგენტურას ძალას ბოლომდე გამოაცლის. შესაბამისად, კანონპროექტების ინიციირებისთვის დროც იდეალურად არის შერჩეული. ამ პროცესებით ქვეყანას და ხელისუფლებას არაფერი დაგვაკლდება, გარდა იმისა, რომ გლობალურ ომის პარტიას კიდევ ერთხელ გავანაწყენებთ, რომელსაც მეორე ფრონტის არგახსნის გამო, ჩვენს მიმართ წყენა ისედაც არ აკლია.

ბევრი ჩვენი თანამოქალაქე განაწყენებულია იმის გამო, რომ 2012 წელს „ნაციონალები“ სათანადოდ არ დავსაჯეთ. რეჟიმის არაერთმა ლიდერმა მრავალწლიანი სასჯელი მოიხადა. გასამართლდა რეჟიმის დანაშაულებრივი დავალებების მრავალი შემსრულებელი. ამჟამად სასჯელს იხდის რეჟიმის მთავარი დამნაშავე, მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, სამწუხაროდ, არ მომხდარა „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ერთიანი დანაშაულებრივი და მოღალატეობრივი დაჯგუფების გასამართლება.

საქმეში უშუალოდ ჩახედული ადამიანები დამეთანხმებიან, რომ მაშინ „ნაციონალების“ დასჯის არავითარი რესურსი არ გვქონდა, ურესურსოდ ნაბიჯების გადადგმა კი მხოლოდ კონტრპროდუქტიული იქნებოდა. კარგად მახსოვს, 2012-13 წლებში კბილებით როგორ იცავდნენ სისხლიან დამნაშავეებს დასავლელი უმაღლესი თანამდებობის პირები. „ნაცმოძრაობა“ ზუსტად ისევე დაუნიშნეს საქართველოს გარედან რადიკალურ ოპოზიციად, როგორც მანამდე ხელისუფლებად დაგვინიშნეს. რადიკალიზმი, ე.წ. პოლარიზაცია და პერიოდული პოლიტიკური რყევები, რაც ჩვენს ქვეყანას და მის ეკონომიკას მთელი ამ წლების მანძილზე საკმაოდ ძვირი დაუჯდა, მთლიანად გარედან იყო ხელოვნურად თავს მოხვეული. რომ არა გარე მხარდაჭერა, საქართველო ეგრეთწოდებული პოლარიზაციის ჩაკეტილ წრეს უმოკლეს ვადებში გაარღვევდა.

საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ამ წლების განმავლობაში ჩვენ დავაგროვეთ საკმარისი რესურსი, რომ სუვერენიტეტის სრულად განმტკიცება დავიწყოთ. სწორედ ამას ემსახურება კანონიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. არჩევნების შემდეგ კი, ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას გამოვუტანოთ მკაცრი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენი, რომელსაც ის 9-წლიანი სისხლიანი მმართველობისა და 12-წლიანი „მაოხრებელი გზირობისთვის“ იმსახურებს.

**არჩევნების შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობა“ მკაცრად აგებს პასუხს ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან 2 ათწლეულის მანძილზე ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა!**

გაძლევთ პირობას, რომ ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, სუვერენიტეტსაც განვიმტკიცებთ, მშვიდობასაც შევინარჩუნებთ, ქართულ ეკონომიკასაც გავაძლიერებთ და 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა. **ჩვენ ვართ უნიკალური ერი უნიკალური ისტორიით, ტრადიციებითა და იდენტობით. სწორედ ამ უნიკალური ეროვნული ტრადიციებითა და იდენტობით უნდა გავწევრიანდეთ საერთო ევროპულ ოჯახში, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ნამდვილი ფასი ევროკავშირს საქართველოსთვის და საქართველოს ევროკავშირისთვის.**

თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, ევროკავშირის წევრი საქართველო, გაერთიანებული და გამთლიანებული საქართველო, ეს არის ჩვენი ქართული ოცნება, რომელსაც ყველა ერთად აუცილებლად ავიხდენთ.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, სუვერენულ და ერთიან საქართველოს!

# 29 აპრილს რუსთაველზე საქართველო იდგა

**ირაკლი კობახიძე:** „საქართველო არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. ჩვენ სწორედ დამოუკიდებლობით, სუვერენიტეტითა და ღირებულებებით გვინდა გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

...კონკრეტულ გავლენიან ძალებს ევროკავშირი წარმოუდგენიათ, როგორც არასუვერენული, სუსტი სახელმწიფოების ერთობა, რომლებიც დაცლილი უნდა იყვნენ ყოველგვარი იდენტობისგან და ღირებულებებისგან.

...როდესაც ქვეყანა ხდება ევროკავშირის წევრი, არა მხოლოდ ევროკავშირი უშვებს ამ ქვეყანას საკუთარ სახლში, არამედ ეს ქვეყანაც უშვებს საკუთარ სახლში ევროკავშირს. ამიტომ, საქართველოს აქვს სრული უფლება, ჩვენ სახლში შემოსვლამდე ევროკავშირს ჩვენი სუვერენიტეტისა და ღირებულებების პატივისცემა მოვთხოვოთ“.

...პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მეგობრები და მტრები, არსებობს მუდმივი ინტერესები.

„...ავღანეთისა და უკრაინის მაგალითებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სახელმწიფოს ერთადერთი მუდმივი მეგობარი მისი სუვერენიტეტია. სუვერენიტეტი არის ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე მტკიცე გარანტია. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვერ დავყვებით ვერცერთ მოთხოვნას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დათმობას გულისხმობს“.

**შალვა პაპუაშვილი:** „...დღეს პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას ორი საკითხი, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ჩვენს დამოუკიდებლობას – ჩვენი ცხოვრების წესი და ჩვენს ცხოვრებაზე უცხოური გავლენა. ორივე შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ გვიპირისპირდებიან ის ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ სიამაყე ჩვენი თვითმყოფადობის გამო, არ გააჩნიათ ეროვნულობის განცდა და კუთვნილება ქართულ საწყისებთან. ისინი საქართველოზე უფრო მაღლა აყენებენ უცხოეთს, რადგან მათთვის წარმოუდგენელია, რომ ქართველმა კაცმა დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი და მომავალი. ჩვენი თაობისათვის „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლება“ არ არის მხოლოდ სიტყვები. ამ სიტყვებთან დაკავშირებულია ბრძოლა, მსხვერპლი, ტკივილი და დიდი სიხარულიც. ჩვენი ვალია, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამაც გაიაზროს, რომ დამოუკიდებლობა ჩვენთვის არავის უჩუქებია, რომ მას მუდმივად ესაჭიროება დაცვა და განმტკიცება“.



**ირაკლი ღარიბაშვილი:** „...დღეს, არჩევანი მკაფიოა – ან მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება, ან ისევ ომი, ქაოსი და არეულობა. დღეს, კიდევ ერთხელ აქ ჩვენ ყველამ ერთად დღევანდელი შეკრებით ვთქვით, რომ დავიცავთ ჩვენს თავისუფლებას, მშვიდობას და ღირსეულ ევროპულ მომავალს. დაე, იცოდეს ყველამ, რომ საქართველოში არასოდეს დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ „მამული, ენა და სარწმუნოება!

...დღეს ყველამ ერთად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. ქართველებმა კარგად ვიცით ომის ფასი და ასევე კარგად ვიცით მშვიდობის ფასი, ჩვენ კარგად გვესმის თუ რა მოაქვს ომს, ამიტომ ყველაფერს ვაკეთებთ მშვიდობისთვის.

...ჩვენ ვიცით, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც ქვეყნის შიგნით მოქმედი მტრული ძალების, მტრული აქტორების მეშვეობით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს და დამოუკიდებლობას.

...ჩვენ კარგად ვიცით, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც ვერ ეგუებიან, რომ ქართველმა ხალხმა თავად უნდა მართოს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება სწორედ დიდი ილია ჭავჭავაძის შეგონების ერთგულნი ვართ და მტკიცედ ვიცავთ მთავარ პრინციპს, რომ „ჩვენი თავი ჩვენად უნდა გვეყუდნოდეს.

...დღეს ურთულესი გეოპოლიტიკური გამოწვევების და გლობალური საფრთხეების ეპოქაში ვიმყოფებით. აშკარაა, რომ მსოფლიო წესრიგი იცვლება და ხვალინდელი სამყარო ველარ იქნება ისეთი, როგორიც იყო გუშინ. ამ ვითარებაში უნიკალური ქართული გამოცდილების არსი სწორედ ის არის, რომ ჯერ, პირველ რიგში, ჩვენი ეროვნული ინტერესები დავიცვათ და ყველას შევახსენოთ, რომ ახალი წესრიგი თანასწორობას, მშვიდობისკენ სწრაფვას და ყველა ერების უნიკალურობისა და თვითმყოფადობის პატივისცემას უნდა დაეფუძნოს“.

**კახა კალაძე:** „...ჩვენი დღევანდელი ბრძოლა, რომელიც „ენჯეოების“ და ლგბტ-პროპაგანდის შესახებ კანონების მიღებას უკავშირდება, სინამდვილეში, არ არის ბრძოლა, უბრალოდ, ორი კანონის მისაღებად. ეს არის გადამწვეტი ბრძოლა საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული იდენტობის დასაცავად.“

**ნოდარ ტურძელაძე:** „კარგად ხედავთ საზოგადოების განწყობას გამჭირვალობის კანონთან დაკავშირებით. ოპოზიცია იმართება გარე ძალების მხრიდან. მათ ერთად დაარქვეს ამ კანონს „რუსული“, რომელსაც რუსულ კანონთან არანაირი კავშირი არ აქვს. საზოგადოების უმრავლესობა ფიქრობს რომ ეს არასწორი ინტერპრირებაა. გამჭირვალობა არის ევროპული.

არ ვეთანხმები იმ პათოსს, შეურაცხყოფას და ბულინგს, ბოლო დღეების განმავლობაში მომიტინგეების მხრიდან რომ ვრცელდებოდა ჩვენი ქვეყნის რეგიონების მაცხოვრებლების მისამართით. ასე ჩვენ ვერ ავაშენებთ დემოკრატიულ ძლიერ ქვეყანას, რომლის გარეშეც ევროპული მომავლისკენ ვერ მივალთ.

ყველა სიკეთე არის ჩვენს მამულში, ჩვენს ენაში სარწმუნოებაში, იმ საუნჯეში, რაც დაგვიტოვა ჩვენმა მამა-პაპამ.

გამჭირვალობა, გინდა რუსული იყოს, გინდ ფრანგული, გინდ ამერიკული გამჭირვალობა სასირცხვილო როდიდან გახდა? ყველაზე მეტად დამცინავი და ირონიულია იმ ხალხის მხრიდან გამჭირვალობის კანონისთვის „რუსულის“ დარქმევა, რომლებიც წლების განმავლობაში რუსეთზე ყიდდნენ საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებს. აგვისტოს ომის შემდეგ მათ ხელი მოაწერეს რეზოლუციას, რითაც ქართულ ჯარს დააბრალეს ომის დაწყება. ამავდროულად, ამ ადამიანების საყვარელი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, რუსეთის საზღვართან იდგა და რუსეთის მოქალაქეებს ეპატიჟებოდა საქართველოში. ეს კარგი ყოფილა მაშინ და დღეს ჩვენი გამჭირვალობის კანონი ყოფილა ცუდი და რუსული.

ბევრი კარგი პროექტი გააკეთეს არასამთავროებო ორგანიზაციებმა უცხოელი დონორების დააფინანსებით. ნჯეოები თუ მხოლოდ ასეთ კარგ საქმეებს აკეთებენ, მაშინ რატომღა აპროტესტებენ ამ კანონს? რა აქვთ დასამალი?

კანონი დამტკიცდება და ყველაფერს ფარდა აეხდება“.



**ზურაბ ქადაგიძე:** „გილოცავთ ყველას – დღევანდელი დღე შედგა. ეს არის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, 31 მარტის ანალოგიური, როდესაც ქართველმა ხალხმა უპირობოდ აირჩია დამოუკიდებელი საქართველო.

ხვალიდან ახალი ხედვით, ახალი მიდგომით დავიწყოთ მსოფლიოსთან საუბარი. საქართველო არის ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა და ვალდებულება აიღეთ ყველამ – მეგობარმაც და არამეგობარმაც, რომ პირისპირ ისე გვესაუბროთ, როგორც ეს სუვერენულ სახელმწიფოს შეშვენის. ეს არის დღევანდელი დღის მთავარი სათქმელი.“

# ჩვენ ვემსახურებით საქართველოს!

როგორ გარბის დრო, თითქოს გუშინ იყო 2012 წლის 27 მაისი, არადა, თითქმის უკვე თორმეტი წელი გასულა. თორმეტი წელი მცირე დრო არ არის, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისევ იგივე ვითარება ტრიალებს ჩვენს თავზე. საქართველოს მაოხრებელი მიხეილ სააკაშვილი და მისი ბანდა ძველებურად ღიად ებრძვიან საქართველოს.

29 აპრილს ლამის მთელი ის საქართველო იდგა რუსთაველის პროსპექტზე, ვისთვისაც საქართველო დედასთან, მშობელთან ასოცირდება და მისი დედა სამშობლოა, ეს ძაღლთაპირები კი ამ შეკრებას კონტრაქციას უწოდებენ. დღევანდელი კონტრაქციით ჩვენს დემორალიზებასა და დაღლას ცდილობენ, ჩვენ პირიქით, მათ ჩამოშლას უნდა მივაღწიოთ, ამიტომ კარგად უნდა გავაანალიზოთ ჩვენი და უცხოეთის საპროტესო გამოცდილებაო, — სისინებენ აკერმანის დატრენინგებული ბოროტების ყვავილები.

ამ ქინქლა-პოლიტიკოსებისა და უცხო ქვეყნების დესანტის, ე.წ. ნჯო-ების ნაყიდმა თავგზაარეულმა ახალგაზრდებმა, იმდენი ვერ გაბედეს, რომ მაშინ ჩაერთოთ ხმის გამაძლიერებლები და მაშინ ელმუვლათ გაზეპირებული მოწოდებები: „ალა ლუშულ კანონს! ალა ლუშულ მთავლობას!“ როდესაც თვითონვე თვალს ვერ აწვდენდნენ „კონტრაქციელების“ დასალიერს... ნიშანდობლივია, რომ კანტორა, საიდანაც აღნიშნული პროვოკაციისმაგვარი წკნავილი გაისმოდა, უკრაინის დიდი დროშით იყო წარმოდგენილი.

მთავარი ის არის, რომ ამ მანქურთებმა საკუთრივ მშვენივრად იციან, რომ ეს იყო ქართველი ხალხის ნების გამოხატვა; რომ ქართველი არასდროს აღარ გახდება გარე ძალების სათამაშო ტიკინა; რომ საქართველოს სურს და იქნება კიდეც იმ ახალი მსოფლიოს განუყოფელი ნაწილი, რომელიც ძალიან სწრაფად დადგება; რომ მსოფლიო ისეთს მიიღებს საქართველოს, როგორიც უნდა იყოს და რისკენაც ისწრაფვის — ნამდვილად დამოუკიდებელი, სუვერენული, საკუთარი მამაპაპისეული მრწამის ერთგული — „მამული, ენა, სარწმუნოება!“ — და ყველა ღირსეულის თანასწორი.

გადასარევად გვახსოვს თორმეტი წლის წინანდელი განწყობა და ბატონი ივანიშვილის შემართება, „ჩვენ ვიწყებთ!“, თითქოს მართლაც დავიწყეთ კიდეც, მაგრამ იქვე გაგვაჩერეს.

ბატონი ივანიშვილი თორმეტი წლის წინათ გულწრფელად ამბობდა, რომ მისი ოცნება ძლიერი, განვითარებული, ბედნიერი საქართველო იყო, სადაც ყველა მოქალაქის ღირსება დაცული იქნებოდა; სადაც ყველა მოქალაქე თანასწორი იქნებოდა კანონის წინაშე; სადაც დაფასებული იქნებოდა ნიჭიცა და შრომაც. გულწრფელი იყო ეს ადამიანი და ჩვენც, ყველა მსმენელს, გვჯეროდა მისი, მაგრამ აკი ვთქვით, ადგილზე გაგვაჩერეს.

გავიგეთ, რომ სუსტ და პატარა ქვეყანა საქართველოს ვიღაცამ უფლება წაართვა, რომ ყოფილიყო თვითმყოფადი, სუვერენული, სამართლიანი, ღირსეული და ა.შ. ყველაფერი საუკეთესოთი აღვსილი, მაგრამ რომ აღარ დასრულდა ჩვენს საქმეებში ჩარევა? დაიწყო თავსმოხვეული უზნეო კოჰაბიტაციით და გაგრძელდა ყოველგვარი უზნეობით, რასაც, ბუნებრივია, დაერთო შერჩევითი სამართლის დამკვიდრებაც და შემთხვევითი ადამიანების აღზევებაც.

ახლაც იგივე მოცემულობაში ვართ, როგორშიც თორმეტი წლის წინათ ვიყავით, ვირისა და პიტნის ამბისა არ იყოს, კვლავ ჯიუტად გვჩრიან ცხვირ-პირში კრიმინალურ „ნაცბანდას“.

იმედი ვიქონიოთ, რომ ევროპარლამენტსაც დაადგება საშველი, არჩევნები უახლოვდებათ და ყოვლად არაევროპული რელსებიდან ეგებ, როგორმე ჩაეხსნან, თუმცა, იმხელა გავლენის ქვეშ არიან მოქცეული, სავარაუდოდ, საქართველოზე მეტად გაუჭირდებათ მარწუხებიდან თავის გამოხსნა.

არ შეიძლება, რომ მუდმივად ირყეოდეს საქართველო და ამ რყევის მიზეზი ჩვენ თავადვე ვიყოთ, რყევის შეჩერება შეგვეძლოს და მავანთა მუქარითა თუ მოსყიდვებით, რყევის შემაჩერებელ ბერკეტებს ვერ ვიყენებდეთ — გასამართლდეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და საქართველო შეწყვეტს რყევას.

ამ დღეებში არაერთი ადამიანისგან მოვისმინე შეკითხვა, რაღა ახლა, ამ საარჩევნოდ აიტეხეს ლგბტ-პროპაგანდისა და „გამჭვირვალობის კანონის“ გამოტანა, ივანიშვილი ასე აპირებს ხელისუფლების გადაბარებას „ნაცმოძრაობისთვისო“? ესენი მართლა ერთნი ყოფილანო?

არც ერთ კანონზე იყო საუბარი და არც მეორეზე, მაგრამ რა დღეშია საქართველო, ჟამიდან ჟამამდე მტრობა-გამოხდომები და მეტი და მეტი ბოროტების ყვავილობა აღარ დასრულდა.

გულითადად იყო მოწადინებული ბატონი ივანიშვილი, რომ ყველა სფერო და მიმართულება თავისუფალი ყოფილიყო ხელოვნურად შექმნილი პრობლემებისგან, მაგრამ მწარე სიმართლე უთქვამს ბატონ კონსტანტინეს, როცა ერს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო.

მაშინ, 2012 წელს ერთი კაცის დიდმა შემართებამ მოიგო ბევრ საქართველოს მოქალაქესთან ერთად, დღეს კი გულნაკლულია ისევ ის ბევრი მათგანი, რეალური თანამებრძოლი, რადგან ისევ იქ ვართ, იმავე მოცემულობაში... მასისთვის, თუ თითოეული მათგანი თვითონ ვერ ისიგრძეგანებს, რა ხელისშემშლელი გარე ფაქტორებია მიზნისკენ მიმავალ გზაზე, ძნელია აუხსნა...

„ჩვენ ვერ მოვახდენთ სასწაულს, მაგრამ გავაკეთებთ შესაძლებლობის მაქსიმუმს,“ — ასეთი იყო ამ ერთი კაცის დაპირება.

ამავე ერთმა კაცმა ძალიან მალევე, 2014 წელს „საზოგადოება - 2030“ რომ დააფუძნა, გადაძახილი ატყდა, ეს ამდენი ხანი აპირებს ხელისუფლებაში გულავსო? რა „საზოგადოება - 2030“, რას ამბობსო? ახლა, როდესაც საზოგადოება მეტ-ნაკლებად უკვე იცნობს ბატონ ივანიშვილს, ახლა ვერ გაუგია მისი ბევრი მოქმედებისა და ნათქვამის აზრი და ათი წლის უკან, მითუმეტეს, ძალიან გაუგებარი იყო.

გვახსოვს, როგორ წარმოედგინა საქართველოს მოქალაქეების ფუქსავატ ნაწილს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა მათი მხარ-თეძოზე წამოწოლის უპირობო გარანტია იქნებოდა და როგორ გაუცრუვდათ იმედები — ხალხს მოსავლის განადგურება უხაროდა, ივანიშვილი ფულს მოგვცემს და „ჯიპებს“ ვიყიდითო, იმას ვინ მიაქცევდა ყურადღებას, რომ აქცენტი ნიჭიერებასა და შრომაზე კეთდებოდა.

მავანთ არც ახლა უნდათ იმის გაგება, რომ საქართველოს პრეტენზია აქვს ყოველგვარ სახელმწიფობრივზე და ამის საწყისი მხოლოდ ერის ისტორიაა, ტრადიციები, წინაპრების გაკვალულ საგულისხმო ნაკვალევებზე გზის განგრძობა, ცხადია, თანამედროვე მიდგომებით, მაგრამ ერთგულად და განუხრელად; რომ ერის ისტორიის გაგრძელება წარსულის გარეშე შეუძლებელია — თუ ერს ეროვნული თვითმყოფადობის ყველა ნიშანი წაშლილი აქვს, ის არარავის წარმოადგენს და ვის რად უნდა, რითი უნდა დააინტერესოს ვინმე, მხოლოდ ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით? ასეთი უმრავი მყიდველი გვყავს...

იდეალურად თქვა ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა: „ჩვენ ვამბობთ მარტივ რამეს — ჩვენ არ ვემსახურებით არც დასავლეთს და არც აღმოსავლეთს, არც ჩრდილოეთს და არც სამხრეთს, არამედ ჩვენ ვემსახურებით საქართველოს!“

არავის აპოლოგეტი არ ვართ, არც არანაირი სურვილი გვაქვს, „ვინც არ არის კახაბერი, ვუძახოთ კახაბერი“, მაგრამ დაუნახავი კაცი რა პატივსაცემია! რანაირად შეიძლება, არ და ვერ დაინახო, რომ სწორედ ის პატარა საქართველო, ის სუსტი და მცირერიცხოვანი, ფეხზე დგება, ღირსეული ადგილის დამკვიდრება ღირსეულად შეძლო და მისთვის სასარგებლო „არას“ თქმაც ზედმეტი რევერანსების გარეშე ისწავლა. ეს იგივე საქართველოა, მავანთა მათხოვრულად გადმოგდებულ შემწეობებს დღემდე რომ გვამადლიან.

საქილიკოდ გახადეს ბატონი ივანიშვილი რამდენჯერ მობრუნდა, ერთობაო?

კაცს, რომელსაც თავი საქართველოსთვის აქვს გადადებული, მისი ქველმოქმედების სადარი ვის რა გაუკეთებია, არამკითხეს გკითხოს, რა იფიქროს და როგორ გადაწყვიტოს?

მისი ერთი ფასეული ფრაზა არ დაგვიწყებია, — ჩემი ოცნებაა, ის დღე დადგეს, როდესაც ჩემი ოთხი შვილი იცხოვრებს ისეთ ქვეყანაში, სადაც მათზე იმსჯელებენ იმის მიხედვით, რას წარმოადგენენ ისინი და არა იმით, რა სოციალური მდგომარეობა აქვთო.

იმ თორმეტი წლის წინათაც ასეთივე დომხალი იყო, ასეთივე უთავმოყვარეობა, ასეთივე მტრობა; ასევე არსებობდნენ იგივენი, რაღაც ინსტიტუტები, ვიღაც თაგვები და სათაგურები.

„29-ში დავსხდეთ და ვნახოთ, ვუყუროთ, როგორ ჩამოიყვანენ გოდრებით ხალხს, როგორ დაიცლებიან გამგეობები, როგორ მიატოვებენ უსინდისო პედაგოგები საბავშვო ბაღებში ან სკოლებში მოწაფეებს, როგორ ჩამოიყვანენ ალკოჰოლიკებს რაიონებიდან, როგორ მოაოხრებენ ქალაქს“.

თქვენ რა გაიგეთ მისი ამ ნაბოდვარიდან, არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ის გავიგეთ, რომ უგულავა და მისი თანამოაზრენი ისევ ის ბოროტი მასხარები არიან, მოღიმარი ნიღბების მიღმა ჩვენს მომავალს, ჩვენს ახალგაზრდა თაობებს რომ ნთქავენ — საკუთარი სამშობლო ასე რატომ და რანაირად უნდა გძულდეს?

ალბათ, შემთხვევითი არ არის, ბევრი ადამიანი, ფიქრობს, რომ კლოუნები შემაძრწუნებლები არიან. სამეცნიერო სახელი „კოულროფობია“ მიენიჭა ამ შიშს, მაგრამ სახელს რა მნიშვნელობა აქვს, — გესმით, რაშია საქმე? კლოუნებმა კოშმარად უნდა აქციონ მიზანში ამოღებული ყველა ქვეყანა, მაგრამ შენ, იმ ქვეყნის მოქალაქე ვერ უნდა მიხვდე ამას? — რა გჭირს, ერო?

29 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე იდგა ის საქართველო, რომელმაც ერთსულოვნად მოუწოდა საქართველოთი დაინტერესებულ მსოფლიოს, რომ ჯეროვნად შეაფასონ ქართველი ხალხის მოთხოვნები, ხოლო მათ, ვისაც ეკუთვნის, მათთვის უსიტყვოდ იყო ნათქვამი, რომ საქართველოში „შავი ფულის რეცხვის“ დრო აღარ დადგება!

რაც შეეხება გოდრებით ჩამოყვანილებს — აქციაზე მყოფებს ერთსულოვნება ეხატათ სახეზე და კიდევ, იმედი, რომ საქართველო საბოლოოდ ამოვა სიბნელიდან. მათ, „შიგ ევროპელებს“ რა აწერიათ სახეზე? — მეტამფეტამინის მიხატული აპოკალიფსური შიში! „გოდრებით“ ჩამოტანილი მოოხრებული ქალაქი ურნებთან ან ბაღის კიდეებზე აკურატულად დაწყობილი სასმელი წყლის ცარიელი ბოთლები იყო, მათ მიერ „მოოხრებული ქალაქი“ კი სავსე რჩება ყოველ ჯერზე გამოყენებული შპრიცებით, ნახმარი პრეზერვატიებითა და ე.წ. სექსუალური სათამაშოებით — ეს მართლა ყოველმხრივ მაოხრებლები!..

განწყობას ნუ გავიფუჭებთ — თორმეტი წლის წინანდელი აქციიდან სასაცილოდ დაგვამახსოვრდა ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩის ასახვევთან ორი გოგონას დიალოგი, როდესაც ამდენი ერთადად მიმავალი ადამიანი დაგვინახეს. „ვაიმე, რა ხდება? ჩვენ რა, ჭურში ვზივართ? ვისი გასვენებაა, ნეტავ?“ — ჰკითხა ერთმა მეორეს და ხალხიდან მიაძახეს „თქვენი მიშასიო“. „ვაიმე, რატომ ჩვენი?“ — დაიბნენ გოგონები. ძალიან სასაცილოები და საყვარლები კი იყვნენ.

საქართველოში უსიყვარულობის დეფიციტიც ხელოვნურად შექმნილია, ვიღაცამ გვაიძულა ვიფიქროთ, რომ მოყვასის სიყვარული სირცხვილია...

ადრე „იქ“ წყდებოდა ჩვენი ბედი; უფრო ადრე — „იმის იქით“; კიდევ უფრო ადრე — „უფრო იქით“ და ასე, უკუაღრიცხვით მოსიარულეებმა, ძლივს წაღმა დავატრიალეთ ბედის ჩარხი და იქნებ, გვაცადონ?!

საქართველო ერთი უმეგობრო ქვეყნაა, ოდითგანვე ყველასთვის რაღაცით საოცრად სასურველი, თუმცა, ყველას რატომღაც ქართველების გარეშე უნდათ...

სიმბოლურ გამოხატულებად ჩანდა ახალგაზრდების რიგებში ჩამდგარი ცოტნე ივანიშვილი, 2012 წელს ბერა ივანიშვილი იყო... მანამდე, კი — მახსოვს მათი მამის სიტყვები, შინიდან გასვლისას მეუღლეს დავემშვიდობე, რადგან შესაძლო იყო, ველასდროს გვენახა ერთმანეთიო. ამ ყველაფრის დამნახავი რომ არ და ვერ იქნება ადამიანი, ის არც უნდა იყოს საქართველოში და მისი გაბრწყინების დასაწყისის ნახვის ღირსი არც უნდა გახდეს!..

მაშინ, თორმეტი წლის წინათ, 27 მაისი კვირა დღე იყო, ახლა, 29 აპრილი დიდ ორშაბათს დაემთხვა გამიზნულად — **იქნებ, დიდი ორშაბათი ეზოთერული დატვირთვის დღე გამოდგეს და ახალი კვირის დასაწყისი საქართველოს შენების დასაწყისის დღე გახდეს?**

**„საერთო გაზეთი“**



# „მინდა მწამდეს, რომ ქართული ოცნება ერთად აგვიხდა"...

მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს, რომ დიდი და ლამაზი წმინდა სამების საკათედრო ტაძრის აშენებით ქართველმა ერმა შექმნა თავისი სულიერი ავტოპორტრეტი.

რას ნიშნავს ავტოპორტრეტი?

ავტოპორტრეტებს ხატავენ მხატვრები. ხელოვანი თავისი ავტოპორტრეტით საზოგადოებას აჩვენებს, როგორ ხედავს ის თავის თავს. ქართველმა ხალხმა კი ჩვენი სულიერი მამის, მისი უწმიდესობის წინამძღოლობით და წმინდა სამების საკათედრო ტაძრის შექმნით მთელ მსოფლიოს აჩვენა, თუ როგორ ხედავს ის თავის თავს, რა არის მის სულიერ სამყაროში მთავარი. უნდა ვიფიქროთ ქართველმა ხალხმა 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, არქიტექტურული შტრიხებით, საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ელიას მთაზე აღმაფრენით აზიდა თავისი სულიერების ხატი.

მისი უწმიდესობის სიტყვებმა: „წმინდა სამების ტაძრის სახით ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი სულიერი ავტოპორტრეტი", ძალიან დამაფიქრა, როგორც არქიტექტორი და როგორც მამულიშვილიც. რაღაც დიდი აზრი უნდა იყოს ჩადებული ამ სიტყვებში...

მისი უწმიდესობის ილია მეორის მიერ აღვლენილი ერთი ლოცვა ჩვენს ყოველდღიურ შვიდგზის ლოცვებშია შეტანილი. ილია მეორე ამ ლოცვით ჯერ მიმართავს წმიდა სამებას, ხოლო შემდეგ მშობლიურ ქვეყანას, საქართველოს და მთელ საქართველოს უწოდებს „ტაძარს სამებისას". უწმიდესი ამ ფრაზას ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას და ქართველ ერს ისტორიული მისის ამოცნობას ამ ფრაზაში ხატავს. ეს ორი სიტყვა: „ტაძარი სამებისა" ქართველი ერისა და საქართველოსადმი მიმართული, ისეთივე დიდი დატვირთვისაა აზრობრივად, როგორც „თანაარსობა მამისადმი" იესო ქრისტესი, კონსტანტინე დიდის მიერ დამკვიდრებული პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებაზე.

ვინ შეაძლებინა ამ დიდი მონუმენტის, ანუ არქიტექტურული ავტოპორტრეტის აღმართვა ქართველ ხალხს? შეძლებდა ქართველი ხალხი ავტოპორტრეტის შექმნას, თუ არა დიდი ქველმოქმედის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თანადგომა? და ღრმად დარწმუნებულმა გვინდა ვუპასუხოთ: ღვთის ძალით - უსათუოდ შეძლებდა. რადგან ამაში უსათუოდ განგების ხელი იყო ჩარეული. მაგრამ იმავე განგების ხელით ამ ტაძრის აგება ბიძინა ივანიშვილის სახელს დაუკავშირა.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, წმიდა სამების ტაძრის აგების გარდა, აურაცხელი ქველმოქმედება გასწია ქართველი ხალხისთვის, მაგრამ ყველასათვის ნათელია ისიც, რომ ყველა იმ სიკეთემ სამების ტაძარში მოიყარა თავი, წმინდა სამების ტაძარში, მის აღმართვაში დაგვირგვინდა მისი ქველმოქმედისა და მშობლიური ხალხის სიყვარული. როცა ხედავს განათებულ ჩვენს ულამაზეს დედაქალაქს შინაური თუ მოსული, შეუძლებელია სამების ტაძარზე არ შეაჩერო თვალი, მადლიერება სამუდამოდ დაიმსახურა ბატონმა ბიძინამ და ეს მადლიერება შეეწევა მის ოჯახსა და შთამომავლობას. წმინდა ტაძარში ყველაზე უფროსი ვაჟკაცი ცოტნე ივანიშვილი თეთრი ტანსაცმლით და ანთებული სანთლით ხელში ნამდვილ შემოფრენილ ანგელოზს ჰგავდა. ცოტნე დადიანი ჰყვარებია ბატონ ბიძინას, საქართველოს ეროვნული გმირი. მისი სახელი დაურქმევია თავისი მესამე ვაჟკაცისთვის.



დღეს, ქართველი ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალს ბატონი ბიძინა ივანიშვილის ყოველ სიტყვას და ყოველ მოქმედებას. მისი პიროვნების სიღრმისეული ამოკითხვა და გახილვადება სწყურია ხალხს.

ცოტნე დადიანის დროს მონღოლთა ურდოს უღელი ედგა და მონღოლებისაგან გათავისუფლებას ელტვოდა ცოტნე დადიანი და მისი თანამებრძოლნი. მონღოლთა ყაენის წინააღმდეგ შეთქმული 10 ვაჟკაცი უცნობმა ქართველმა გაყიდა ყაენთან. ისტორიული რეალობაა. მაგრამ საქართველოს გამყიდველობა დღეს მწვერვალზეა ასული. დღეს მონღოლთა ურდოს და მონღოლთა ყაენს სხვა, უფრო ცბიერი სახე აქვს და უფრო საშიში.

მონღოლთა ყაენს ცოტნე დადიანის მეგობრული სულით. მეგობართათვის მისი თავგანწირვით დიდსულოვანი აღფრთოვანებაც შეეძლო და ყველა დასჯილი აყარა სასჯელის ადგილიდან, თავისუფლებით დააჯილდოვა, როგორც ღირსნი თავისუფლებისა.

მინდა მჯეროდეს, რომ ცოტნე და მისი ქველმოქმედი მამა წმინდა სამების მადლით, საკუთარი ქვეყნის სიყვარულით შეაჩერებენ ჩვენს თავზე დატეხილ კაცთმოძულეობის ნიაღვარს.

არ გაგვწირავს წმინდა სამება!

მინდა მწამდეს, რომ ქართული ოცნება ერთად აუხდება ქართველ ხალხს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს.

**ლამარა გურული**
აფხაზეთის დამსახურებული
არქიტექტორი

# 29 აპრილს რუსთაველზე საქართველო იდგა

**რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი**: „საყურადღებოა, რომ შეკრებაზე სიტყვით გამომსვლელებმა გააჟღერეს, ევროპაში გვინდა, ოღონდ ისე, როგორც შეგვეფერება. კობახიძემ საინტერესო რამ თქვა: ევროპიდან ასეთი დამოკიდებულებაა — სადაც მიდიხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო. ჩვენც მივილტვით ევროპისკენ და გვეუბნებიან, ჩვენი ქუდი უნდა დაიხუროთო. მაგრამ მხოლოდ ჩვენ კი არ შევდივართ ევროპაში, არამედ ისიც შემოდის ჩვენთან. ამიტომ, მათაც უნდა იკითხონ, როგორი ქუდი უნდა დაიხურონ საქართველოშიო. რაც შეეხება ივანიშვილის გამოსვლას, მან ყურადღება ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა. აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლება, რომლის არჩევა საქართველოს სანანებელი გაუხდა, აქ თავად გლობალური ომის პარტიამ დაგვისვა. 2012 წლის ძირითადი მონაპოვარი მისგან ქართველი ხალხის გათავისუფლება იყო. 2012 წლის მერე არ ველოდი, რომ გასაკეთებელი კიდევ დამრჩებოდაო. მან პირობა დადო: სანამ საქართველოს ბოლომდე ფეხზე არ დავაყენებ, იქამდე ვიბრძოლებ თითოეულ თქვენგანთან ერთადო. ადრე მსგავსი რამ არ განუცხადებია. ეს მნიშვნელოვანია.




ამ თავყრილობამ აჩვენა, რომ ხალხი ოპოზიციის და მისი პატრონების კურსს არ ეთანხმება. დიახ, საზოგადოებას არ უნდა გამჭვირვალობის კანონზე უარის თქმა. 29 აპრილის აქციის ლაიტმოტივი იცით რა იყო? — ევროპაში შესვლა გვინდა, ოღონდ ცხენზე შემჯდარ მდგომარეობაში, ღირსების მაქსიმალური შენარჩუნებით. რომ გვეუბნებიან: ეს მოხსენი თანამდებობიდან, ის — დანიშნე, ეს კანონი მიიღე, ეს — არ მიიღო, ამაზე თავად რიგმა ევროპარლამენტარებმაც აღნიშნეს: ეს კარნახი საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევააო. ეს ქართველისთვის ღირსების შელახვაა, რაც მტკივნეულია. 29 აპრილის შეკრებაც, ერთგვარად, ამ ტკივილის მანიფესტაცია იყო".

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი**: „2012 წლიდან დღემდე მოყოლებული, ყველაფრის გამოსწორება, რეალური სუვერენიტეტისთვის ბრძოლა და ნაციონალური დამნაშავე რეჟიმისთვის საკუთარი ადგილის მიჩენა — ეს გახლდათ მთავარი დაპირებები, რაც ბიძინა ივანიშვილმა 29 აპრილის შეკრებაზე გააჟღერა. მინდა გითხრათ, რომ 29 აპრილმა — ამ დღემ თავიდან დაბადა ის რწმენა, რითაც 2012 წელს ივანიშვილის შემოსვლას მიეგება „ნაცმოძრაობის" ფაშისტური რეჟიმისგან გატანჯული ქართველი ხალხი. სახალხო შეკრებაზე ღიად გაკეთდა აქცენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ევროპელი პარტნიორები წლების მანძილზე ბოროტად იყენებდნენ იმ უპირატესობას, რაც განპირობებული იყო მათი მხრიდან ძალის დემონსტრირებითა და საქართველოს უსუსური მდგომარეობის გეოპოლიტიკური ცენზით. საქართველო უუფლებო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი იყო, რომელიც რეალურად განიხილებოდა, როგორც ზესახელმწიფოებს შორის დაპირისპირების პოლიგონი.

მნიშვნელოვანია, რომ დღეს საქართველო რეალური სუვერენიტეტის განმტკიცების გზას დაადგა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 29 აპრილის მრავალრიცხოვანმა შეკრებამ. აშკარად გამოიკვეთა, რომ ხალხს არ სურს, დასავლეთისთვის განიხილებოდეს, როგორც კოლონიალური სახელმწიფო. საქართველოსთვის ფაქტობრივი სუვერენიტეტის განმტკიცება მნიშვნელოვანია.

აქვე გეტყვით, რომ ჯენზი თაობა, რომელიც ძვირფას დროს ფსევდოთავისუფლებისთვის ბრძოლაში ხარჯავს, მშობლებისგან მეტ მოფერებას, ყუარდღებას საჭიროებს. 29 აპრილის აქციამ სწორედ ამ ჯენზი თაობას უთხრა: წადით, ბიძიკო და ჩაეხუტეთ თქვენს დედიკოებს, ბაბუკოებს, მშობლებს და მადლობა უთხარით იმისთვის, რომ ძველ სკოლაგამოვლილ ადამიანებს შერჩათ უნარი, შესაძლებლობა, რომ ქვეყანა ჩიხიდან გამოიყვანონ. ასე რომ, დაკარგული არაფერია.

29 აპრილი იყო ძალიან დიდი კონსოლიდაციის დღე. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და „საერთო გაზეთის" ფურცლებიდან კიდევ ერთხელ მივულოცო სრულიად ქართულ საზოგადოებას ეს უმნიშვნელოვანესი კონსოლიდაციის დღე, რომელიც ისტორიაში 29 აპრილის სახელით ჩაიწერება".

# 29 აპრილს რუსთაველზე საქართველო იდგა

**ირაკლი გოგავა:** „ეს არის ანტიკოლუნიალური მარში, ვინაიდან მე არ მომწონს დიქტატი, ზეწოლა, საშინაო საქმეებში ჩარევა, რაც უცხოეთიდან მოდის საქართველოს ხელისუფლებაზე და ქართველ ხალხზე. ახლა არის კარგი გეოპოლიტიკური მომენტი ქვეყნის სუვერენიტეტისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად, რათა, როგორც ილიამ თქვა, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. იარლიყი „რუსული“ კი, გამოიყენება მხოლოდ იმის გამო, რომ ოპონენტებს არანაირი არგუმენტი არ გააჩნიათ“.

**თამარ ჩიბურდანიძე:** „ძალიან ემოციური დღე იყო. ველოდით ბევრ ხალხს რუსთაველზე, მაგრამ პირადად მე მეგონა, რომ ამ 12 წლის განმავლობაში ცოტათი მოიკლო საზოგადოების ემოციამ და მუხტმა. თუმცა, როდესაც ქვეყნის ღირსებას, ქართველი კაცის ღირსებას ეხებიან, ქართველი ხალხის არჩევანს შეურაცხყოფენ, ჩვენს ეკლესიას და რწმენას შეურაცხყოფენ... სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. დღეს, ფაქტობრივად, საქართველომ ჩაატარა რეფერენდუმი. დღეს, ფაქტობრივად, უკვე ვიცით ოქტომბრის არჩევნების წინასწარი შედეგები. ქართველი ხალხის უმრავლესობა ირჩევს იმ ხელისუფლებას, რომელსაც ანდობს ქვეყნის მომავალს. ეს არ იყო მხოლოდ კანონპროექტის მხარდამჭერი აქცია, ამის იქით დგას ქვეყნის ღირსება, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, ჩვენი ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა... სულში ჩაგვაფურთხეს მოსყიდულმა ევროპარლამენტარებმა, მაგრამ ქართველმა ხალხმა დღეს რუსთაველზე, მათ გასცა საკადრისი პასუხი, - რომ ქართველი ხალხი არ იყიდება, ქართველი ხალხი ღირსების შეურაცხყოფას არავის აპატიებს, ქართველი ხალხი ეკლესიის და რწმენის შეურაცხყოფას არავის აპატიებს! საქართველო იდგა დღეს რუსთაველზე“.

**ლევან მამალაძე, სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი:** „29 აპრილს სახალხო შეკრებას ერთი, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა: უცხო ქვეყნის დონორები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ, არასამთავრობო ორგანიზაციებს თუ მედიასაშუალებებს აფინანსებენ, მათ ქართველი ხალხის სახელით ალაპარაკებენ და მერე, თავიანთ შეკვეთილ სიტყვებზე თავადვე რეაგირებენ. ამიტომ, ამ ვითარებაში საჭირო იყო „ქართულ ოცნებას“ ყველასთვის თავისი რეალური ლეგიტიმურობა ეჩვენებინა — ის ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლებაა, რომელსც უმრავლეობის მხარდაჭერა აქვს და შეუძლია ამის შესაბამისად იმოქმედოს. აი, ეს იყო ამ შეკრების მთავარი არსი. უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული ჯგუფები ცდილობდნენ, მათი შემკვეთები დაერწმუნებინათ, თითქოს, ხელისუფლებას ხალხის მხარდაჭერა არ აქვს.



„ქართულმა ოცნებამ“ ამ მრავალრიცხოვანი შეკრებით ყველას დაანახა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი მის მხარესაა. „ქართული ოცნებისთვის“ ლეგიტიმაციის მისაცემად, აქციაზე ძალიან ბევრი ადამიანი გამოვიდა. უმნიშვნელოვანესი იყო ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა. მივაქციოთ ყურადღება მის მიერ გაკეთებულ აქცენტებს იმის შესახებ, თუ რატომ იღებენ ახლა გამჭვირვალობის კანონს. უცხო ძალებს, არჩევნების დროს, რევოლუციური სცენარის გათამაშება აქვთ დაგეგმილი. ივანიშვილმა აღნიშნა, რომ: ეს პროცესები, რისი გაკეთებაც ამ ძალებს შემოდგომაზე უნდოდათ, ახლა გადმოვიტანეთ, რათა დაგვენახა გლობალური ომის პარტია და მათი მხარდამჭერები რამდენად სახიფათონი არიან და რა საშიშროება შეიძლება შეექმნათ საქართველოსთვისო. ეს იყო მთავარი მომენტი, კანონის ახლა ამიტომაც დაინიცირდა. ივანიშვილმა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მან თქვა: ადრე რესურსი არ გვქონდა, რომ ეს კანონი ძალაში შესულიყო, თან უსაფრთხოება დაგვეცვა. აღნიშნული თანხები აგენტურისთვის იხარჯებოდა, მაგრამ ამის გაშიფვრა არ შეგვეძლოო.

29 აპრილს, ამ ხალხმრავალ შეკრებაზე გაცხადდა, რომ ჩვენ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, რისთვისაც გავიღეთ სისხლი, თაობები დაგვეხოცა. ამიტომ ისე მოვიქცევით, როგორ ქვეყნის ინტრესს შეესაბამება.

ვფიქრობ, მართლაც უნდა დავიჯეროთ, რომ საქართველო დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე, ასეთი სუვერენული არასდროს ყოფილა. სააკაშვილის დროს, ქვეყანა პირდაპირ გარედან იმართებოდა, შევარდნაძის დროს, სავალუტო ფონდის წარმომადგენელს წითელი ხალიჩით ვხვდებოდით, გამსახურდიას არც კი ელაპარაკებოდნენ. დღეს კი შეგვიძლია დასავლეთს არ დავეთანხმოთ, მათი აგენტებიც გამოვავლინოთ და დაფინანსების გამჭვირვალობაც მკაცრად მოვითხოვოთ“.

**ჯონდი ჯიბლაშვილი:** „გამუდმებით იმეორებენ, რომ თითქოს გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტი არის „რუსული კანონი“, რადგან იციან, რომ საზოგადოების ემოციებზე ასე უფრო იმოქმედებენ. საინტერესოა, ამერიკამ რუსეთისგან გადაიღო ეს კანონი? ან ამ ლგბტ-ების „უფლებებს“ რომ იცავენ, ვინ არღვევს მათ უფლებებს? ვინ ერჩის ამ ადამიანებს? ერთადერთი მოთხოვნა გვაქვს, რომ პროპაგანდას ნუ გაუწევენ თავიანთი ცხოვრების წესს, პატივი სცენ ჩვენს ეროვნულ ღირსებას, სარწმუნოებას და ტრადიციებს! წლების განმავლობაში შსს-ში ვმუშაობდი, ადრეც იყვნენ განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანები საქართველოში, მაგრამ ვინ ჩაგრავდა მათ?! ეს ყველაფერი „შემოაგდეს“ იმისათვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. დღევანდელი შეკრების მიზანი სწორედ ის არის, დავანახოთ ჩვენს შინაურ თუ გარეშე მტრებს, რომ ქართველი ხალხი ქვეყნის ღირსების და სარწმუნოების შეურაცხყოფას არავის აპატიებს“.

**დავით თელია:** „ქართველის გენში ზიზღი არ არსებობდა, ამდენი ზიზღი საიდან გაჩნდა, ნამდვილად ვერ ვხვდები! ქართველები მტერს ღირსეულად ებრძოდნენ, ახლა კი ყველა მხრიდან: ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან გვებრძვიან სულგაყიდულები და ზოგიერთს არ ესმის ეს! მათთან ბრძოლა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ღირსეულ მტერთან! ძალიან დიდ შეცდომაში შეყავთ ადამიანები!

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, იმიტომ, რომ მენტალიტეტით, კულტურით და ღირსებით ჩვენი ქვეყანა უფრო ევროპულია, ვიდრე სხვა დანარჩენი! ჭკუას არავის ვარიგებ, უბრალოდ ვიცი, რომ მტრობას არაფერი კარგი არ მოუტანია, პირიქით - მეგობრები, ძმები, ნათესავები, ოჯახის წევრები დაგვაკარგინა!“

**ნანა ლობჟანიძე:** „მე დღეს მოვედი, როგორც რიგითი ქართველი პატრიოტი, ჩემი პოზიციის დასაფიქსირებლად. საქართველოს მთავრობა არჩეულია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ და დღეს ეს უმრავლესობა რუსთაველზეა წარმოდგენილი. არანაირი „რუსული კანონი“ ეს არ არის, რუსული არის ოპოზიცია და მიხედონ მას“.



**გიორგი გილიგაშვილი, (ჩემმა მზემ):** „ვფიქრობ, მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა — ეს არის ერთარსი, ღმერთის სამი ჰიპოსტასი, რომელსაც ჩვენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები, ქართული ძირძველი გენეტიკის ქრისტიანები ვესავთ და თავს ვწირავთ. ვცდილობთ, საკუთარი მაგალითით მომავალ თაობებს ის ჭეშმარიტება გადავცეთ, რასაც მართლმადიდებლური სარწმუნოება ჰქვია. ეს თეოლოგიური სამების სიმართლე ილიამ სამოქალაო საზოგადოების ენით გვითხრა — მამული, ენა, სარწმუნოება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სამებაა ერისკაცისთვის, რომელიც ცალკე აბსოლუტურად არ განიხილება. ყოველი ერის ადამიანი სულიერი ინდივიდია. სულიერების გარეშე ადამიანი სამოქალაქო საზოგადოების წევრი ვერ იქნება. ასე რომ, სულიერი სამება — მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სული წმიდა და სამოქალაქო საზოგადოების სამება — მამული, ენა, სარწმუნოება გამატერიალიზდა, როცა საქართველო შევიმოსეთ. დიახ, ჩვენ თავად გავხდით საქართველო. მამული სწორედ ჩვენ ვართ.

როდესაც ადამიანი სამშობლოზე საუბრობს, ჩათვალეთ, რომ საკუთარ თავზე საუბრობს. როდესაც ადამიანი მშობლიურ ენაზე საუბრობს, რასაც ამბობს, თავადაც ის არის. „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“. ასე რომ, ეს ენაც თავად შენ ხარ და სარწმუნოებაც რომელიც შენშია, ისიც თავად ხარ. იმიტომ, რომ ადამიანი სარწმუნოების, მამულის, ენის გარეშე არ არსებობს. ეს ჩემთვის ერთი ჰიპოსტასია. მე ამ ტრიადას ჩემეულად ასე ვამბობ: მამეული, დედა-ენა და მრწამსი. ვისურვებ, ყველა ჩვენგანი გავღმერთიანდეთ, საქართველო და ქართველები მთელი დედამიწისთვის გაღმერთიანების მაგალითი ყოფილიყოს. ვისურვებდი, საქართველო, როგორც სადღეგრძელოში გვიყვარს, მისთვის ყოველღიურობაშიც ასე ვდნებოდეთ, ვლოცულობდეთ და ვმადლობდეთ უფალს, რომ ეს ცა ქუდად გვახურავს და ამ მიწით ვიმოსებით“.

**გიორგი ონიანი:** „ქართველი, სვანი ახალგაზრდა ვარ. ჩემთვის პოლიტიკა არაფერ შუაშია. ქვეყანაში დღეს ისეთი ფონი შეიქმნა, რომ არა რუსულ კანონსო, გაიძახიან ენჯეოები. რაღაც ძალიან ცუდი პიარი მიდის, არადა ქართველობა იკარგება ამ ქაოსში. სწორედ ამიტომ ვართ აქ მოსული მე და ჩემი მეგობრები, რომ ქართველისთვის მთავარია მამული, ენა, სარწმუნოება.

საქათველოს ბევრი მტერი ჰყავს შინ თუ გარეთ. ქვეყანაში უამრავი ფული შემოდის და ჩვენ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, რაში იხარჯება ეს ფული — მტრობაში თუ მოყვრობაში.

# 29 აპრილს ხალხის ქუჩაში გამოსვლა დიდგორის ომში გამარჯვების ტოლფასი იყო



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, მას მერე, რაც პარლამენტმა „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი პირველი მოსმენით დაამტკიცა, პროცესებმა ქუჩაში გადმოინაცვლა. ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში გააქტიურება, რა საფრთხეებს ქმნის?**

— ეს ახალგაზრდები აქციებზე ზოგი მოტყუებით დაჰყავთ, ზოგი ფულადი დაინტერესებით, ზოგიც დაპირებებით. ეს პროცესი ოკეანის გაღმიდან და გამოღმიდან იმართება. მათ მიამიტ ბავშვებს ნამდვილად ვერ ვუწოდებ, რადგან ნებით თუ უნებლიეთ, საქართველოს დაქცევა-განადგურებაში იღებენ მონაწილეობას. მერწმუნეთ, ოკეანის გაღმელ და გამოღმელ პატრონებს, რომლებიც ე. წ. სტუდენტურ მოძრაობას მართავენ, გამჭვირვალობის კანონი სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ — წარმოდგენა არ აქვთ, მასში რა წერია. აცხადებენ კიდეც, კანონი არ გადაიხედება, ამ დისკურსში არ შევალთო. დაზეპირებული აქვთ და თუთიყუშებივით გაიძახიან: „არა რუსულ კანონს!". ეს 60-იან წლებში დაწერილ პასტერნაკის რომანს „ექიმი ჟივაგო" მაგონებს. დასავლეთს აწყობდა, ხრუშჩოვის ეპოქაში „ექიმი ჟივაგო" ნობელის პრემიაზე წარედგინა. შტერ ხრუშჩოვს, იდეოლოგიიდან გამომდინარე, ეს არ აწყობდა. ამიტომ კოლმეურნეობებში, ქარხნებში, ფაბრიკებში კრებებს ატარებდა. შედეგად, ხალხი კოლექტიურ განცხადებებს წერდა და მოითხოვდა: პასტერნაკისთვის ნობელის პრემია არ მიეცათ. საოცრება ის იყო, რომ ეს ნაწარმოები საბჭოთა კავშირში რუსულ ენაზე გამოცემული არ იყო. ანალოგიური ვითარება გვაქვს დღეს — კანონი წაკითხული არ აქვთ და იძახიან, არა რუსულ კანონსო.

ეს კარგად ნაცადი პოლიტტექნოლოგიებია. სპეციალურ ინსტიტუტებში მუშავდება მეთოდები, რითაც ადამიანების გამოტვინება, გამოლენჩება ხდება — იმას აყვირებენ, რაც თავად სურთ. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, შუა აზიაში ადამიანების გამოტვინების შემდეგ მეთოდს იყენებდნენ: აქლემს კლავდნენ, ფაშვს გამოაცლიდნენ, მისგან ქუდს კერავდნენ, რომელსც ადამიანს ახურავდნენ და მზეზე აჯენდნენ. ერთი დღის მერე, ამ ადამიანს, რაც მოგესურვებოდა, იმას გააკეთებინებდი. ახლა მეთოდები სპეციალურ ლაბორატორიებში მუშავდება.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ბავშვები გაუთვითცნობიერებლად მოქმედებენ. მათთან ენის მოჩლექით საუბარი დაუშვებელია. ამ ახალგაზრდებს პირდაპირ უნდა ვუთხრათ, რომ საქართველოს დაქცევას, განადგურებას ემსახურებიან. პირდაპირ უნდა დავასახელოთ იმ ე. წ. პედაგოგების, პროფესორების გვარსხელები, რომლებიც ახალგაზრდებს თავს სისულელეებით უტენიან. რომელ პროფესორობაზეა ლაპარაკი, როცა გაიძახი, ხელისუფლება ქვეყანას რუსეთისკენ მიაქანებსო. ამ დროს სწორედ ამ ხელისუფლების პირობებში დაიდო ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, მოვიპოვეთ ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიბერალიზაცია და კანდიდატის სტატუსი. დასანანია, რომ ეს „პროფესორ-მასწავლებლები" ამ ბავშვებს მონებად ზრდიან. მათ შოთა რუსთაველის სიტყვებს შევახსენებ: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი".

ახალგაზრდებს „ჯაყოს ხიზნების" გმირის მსგავსად „ბრინკებად" ზრდიან, რომლის ოჯახსაც შეურაცხყოფენ და მის გვერდით მეუღლეს — მარგოს აუპატიურებენ. სასწრაფოდ განგაშის ზარებია დასარისხებელი. ამდენი ბრინკა, ამდენი თეიმურაზ ხევისთავი დაიარება ქუჩაში და რას ბოდავს, ეშმაკმა უწყის.

დავაკვირდეთ, საქმე სადამდე მივიდა — ქართველი კაცისთვის ტრიადა — მამული, ენა, სარწმუნოება უმთავრესი იყო და იქნება. ილია შემთხვევით როდი ამბობდა, ამ სამიდან ერთიც რომ გაქრეს, ქართული ერთიანობა დაირღვევაო. სწორედ ამ ერთიანობას დაარტყეს. ჯერ ნაკურთხი წყალი შეურაცხყვეს, მერე — ღვინო. გავიხსენოთ, რა თქვა ნაძირალა გვარამიამ, რომელიც სტრასბურგში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს, წყალსა და ღვინოში ჩაგიფსითო. ერთიანი ტროცკისტული გეგმა გამჟღავნდა, როცა ტრიადიდან სარწმუნოება ამოიღეს და ერთობა ჩასვეს. ეს ახალგაზრდები ძალიან გაუნათლებლები არიან. მათ ისტორია რომ ჰქონდეთ წაკითხული, ეცოდინებოდათ იმ სოციალ-დემოკრატების ლოზუნგი, რომლებიც სწორედ სარწმუნოებას ებრძოდნენ და რომელთაც ილია მოკლეს. ალბათ, არ წაუკითხავთ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა", სადაც სწორედ ამ ერთობაზეა საუბარი. რატომ ჩაანაცვლეს სარწმუნოება ერთობით? — იმიტომ, რომ ასეთია პატრონების დავალება. ილია ამბობდა, ეკლესიას, სარწმუნოებას კაცი თავისი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოსო. რომ არა ჩვენი სარწმუნოება მართლმადიდებლობა, დღემდე ვერ მოვაღწევდით. მოგვიანებით გამსახურდიამ თქვა: ქართველი ხალხის გზა დაცემის, ჯვარზე გაკვრის და გარდაუვლად აღდგომის გზააო. ესენი თუ ხვდებიან, რას ეთამაშებიან? ორი ათასი წელია, ქრისტეს, სარწმუნოებას ებრძვიან, მაგრამ ვერ დაამარცხეს. გვარამიები, მელიები, გიგაურები, ლომჯარიები ვერც ვერაფერს დააკლებენ.

იცით, ეს რისი გამოძახილია? — დღევანდელ მსოფლიოში ძველსა და ახალს შორის უმძაფრესი დაპირისპირება მიდის. გადაგვარებულ ლიბერალიზმს ყავლი გაუვიდა. ამ ახალგაზრდებს სათანადო განათლება რომ ჰქონდეთ მიღებული, ეცოდინებოდათ, რა დაემართათ გამქრალ იმპერიებს მათი კვდომის ბოლო ფაზაში. ანუ, პრიორიტეტი ლგბტ პრობლემა იყო. ამ იმპერიებში ათასგვარი საზიზღრობები ხდებოდა, რამაც ბოლოს მათი გაქრობა გამოიწვია. ანალოგიური ვითარებაა დღევანდელ მსოფლიოში. იმპერიალისტებმა უკრაინაში, სხვა ცხელ წერტილებში ომები გააჩაღეს და ამ გახურებული ბრძოლების დროს, მავანი ვიღაცების უკანალების დაცვაზე ფიქრობს. ჩვენ ძალიან მცირერიცხოვანი ერი ვართ და ამიტომ ეს პრობლემა ჩვენთან მკვეთრად გამოჩნდა.

ახალგაზრდობის მცირე ნაწილი, რომელიც ქუჩაში გამოჰყავთ და აყვირებენ „არა რუსულ კანონს"-ო, დესტრუქციული ძალაა, რომელსაც ქვეყნის ნგრევისთვის იყენებენ. თუ ასეთი მაგრები არიან, რატომ არ გააპროტესტეს, როცა 7-8 მარტს ქაშვეთის ეკლესიაში ფსამდნენ, რუსთაველის თეატრს ფალოსებს ახატავდნენ?! რუსთაველის გამზირი ისე ააწიოკეს, ჯალალ ად-დინსაც შეშურდებოდა. თუ ეს მათი სამშობლოა, გულზე მჯიღს რომ იცემენ, რუსეთს ქვეყანას არ დავუთმობთო, პროტესტი მაშინ რატომ არ გამოხატეს?! არ არის საქართველო მათი სამშობლო. მათთვის ეს ასპარეზია. მათ ეუბნებიან, თუ ასე და ასე მოიქცევით, ფულს, თანამდებობებს მოგცემთო. გარე პატრონებმა იციან, რომ გამოცდილ, ჭარმაგ ხალხთან არაფერი გაუვათ. ამიტომ პოლიტიკაში „ჩვილი" ბავშვები ჩააბეს, 6-7 წლის ბავშვებს აკეთებინებენ განცხადებებს, რაც წარმოუდგენელია. ამის გამკეთებელი უნდა დაისაჯოს. ასეთი ადამიანი კრიმინალია, რომელიც კონსტიტუციას, ზნეობას არღვევს. ესენი ქართულმა სახელმწიფომ უნდა მოიკვეთოს — იდეოლოგიურად გაანადგუროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავკარგავთ მთავარს: მამულს, ენას და სარწმუნოებას. ამ ბავშვებს არ წაუკითხავთ სახარება, „ქართლის ცხოვრება", „ვეფხისტყაოსანი". ეს ტრაგედიაა.

ამ ახალგაზრდების ქუჩაში გამოყვანა, ქართული ფილმიდან — „უდიპლომო სასიძო" შემდეგ სიუჟეტს მაგონებს: ბიჭიკოს ფეხბურთის სათამაშოდ არავინ მიჰყვება და ბოლოს, სტადიონზე ფეხბურთის სათამაშოდ პატარა ბავშვები მიჰყავს. საბედნიეროდ, საქართველოს ახალგაზრდობის ძირითადი ნაწილი დგას იქ, სადაც უნდა იდგეს — მამულის, ენისა და სარწმუნოების სადარაჯოზე.

**— 29 აპრილის შეკრება ახალგაზრდებისთვის, ვინც „არა რუსულ კანონს"-ო, გაიძახის, ერთგვარი პასუხი იყო?**



— საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მათ შორის, ახალგაზრდებმაც, კარგად იციან, რომ საქართველო რუსეთისკენ არ მიდის. რუსებს რაც უნდოდათ ჩვენი ქვეყნისგან, სააკაშვილმა უკვე მისცა. ხომ გვახსოვს, როგორ იდგა ლარსის საბაჟოზე და რუს ტურისტებს ღვინითა და ყურძნით ხვდებოდა. ამ ახალგაზრდების უკან დგას ლიაკა ხოშტარია, რომლის ოჯახი რუსეთისგან ფულს დღემდე იღებს. როდესაც ლიაკას ჰკითხეს, ოკუპანტისგან ფულს რატომ იღებო, უპასუხა: სოლიკო ვირსალაძე ჩემი ბიძა იყო და მის ფულს ვიღებო. რუსეთმა ყველას ყველაფერი წაართვა და გოგია და ლიაკა ხოშტარიებს ფულს აძლევს?! ვის სჯერა ამ ზღაპრების. გამოდის, პუტინი დემოკრატზე დიდი დემოკრატი ყოფილა, თუ მის მაგინებლებს, მოწინააღმდეგეებს მაინც ფულებს ურიცხავს! ამ ახალგაზრდების უკან დგას ასევე, გენერალი დევი ჭანკოტაძე, რომელსაც რუსული იარაღი, ჭურვები მისცეს, რაც მან ეროვნულ ხელისუფლებას დაუშინა. დევი ამ ინფორმაციას არც უარყოფს. აი, ეს ხალხი უმაგრებს ზურგს ამ ახალგაზრდებს, რომლებიც, როცა უბრძანებენ „არა რუსულ კანონს"-ო, ყვირიან, როცა ეტყვიან, სტვენენ და ა. შ.

ახალგაზრდობასთან დაკავშირებით ერთი რამის შიში ნამდვილად მაქვს. კერძოდ, ის რომ „პატრონებმა" შეიძლება ისინი გაწირონ. მეშინია, მათ ეს ბავშვები არ დახოცონ. მოკლავენ ერთს, ორს, სამს ისე, რომ ხელი არ აუკანკალდებათ, რაც დიდ უბედურებას გამოიწვევს.

აქაურ ენჯეოებს, ოპოზიციას შექმნილი აქვთ უცხოელების მიერ დატრენინგებული ზონდერჯგუფები. ესენი ახალი „კმარელები" არიან. გამჭვირვალობის კანონი გამოაჩენს, ვინ აფინანსებს საქართველოში გადატრიალების მოწყობას. ქართველმა ხალხმა ეს უნდა იცოდეს. ფარამ გამოააშკარავა, რომ მიშას ოჯახმა ლობიზმში მილიონი დოლარი დახარჯა. ენჯეოები არ კითხულობენ, საიდან აქვს გიულის მილიონები, საიდან ფლობს ამდენ უნივერსიტეტს?! რატომ მიითვისა გეპეის სტადიონი და შენობები ერთ ლარად 2008 წლის აგვისტოში. ამას რატომ არ იძიებენ, თუმცა რა უნდა გაარკვიონ, როცა „იმედის" და „პოსტვ"-ის ჟურნალისტებს მუშაობაში ხელს როგორ უშლიდნენ, არც ენჯეოებს და არც საელჩოებს ერთი განცხადებაც არ წამოუკნავლებიათ ამის თაობაზე. დღეს მსოფლიოში დემოკრატია აღარ არსებობს. რასაც ლაპარაკობენ, აბსურდის თეატრია. უმთავრესი რაც არის: ამ რეზოლუციით დავინახეთ ევროპარლამენტართა სიდამპლე, უძლურება, გახრწნილება.

**— 29 აპრილს აქციაზე თქვენც იყავით. რა იყო ამ ღონისძიების მთავარი დატვირთვა?**

— ამ ღონისძიების მთავარი დატვირთვა ერთადერთი რამაა: ქართველი ხალხი, რადაც უნდა დაუჯდეს, სამ საუნჯეს — მამულს, ენას და სარწმუნოებას არავითარ შემთხვევაში არ დათმობს. სწორედ ამ ტრიადის მეშვეობით მოვიდა საქართველო დღევანდელ დღემდე და სამყაროს აღსასრულამდე უნდა იარსებოს. ბევრი იმპერია გაქრა, მაგრამ საქართველო არსებობს. 29 აპრილს ქუჩაში ამდენი ხალხი რომ გამოვიდა, ამას იგივე დატვირთვა აქვს, რაც თავის დროზე, დიდგორის ომს ჰქონდა. 29 აპრილი ჩემი გადასახედიდან არის იმის ტოლფასი, რასაც 1121 წლის 12 აგვისტოს ქართველი მხედრობის უბრწყინვალესი გამარჯვება ერქვა და რაც მემატიანის მიერ შეფასებულია, როგორც ძლევაი საკვირველი.

**თამარ შველიძე**



# პოლიტიკური თანასწორობა – დაკარგული




ყველა ლაბირინთი, ნაგებობა იქნება თუ სიტუაცია, ვიღაც(ებ)ის მიერ არის შექმნილი და მხოლოდ დაბნევასა და გართულებას, მიზნის ძნელად მიღწევას ან სულაც, შეუძლებლობას ემსახურება. ამჯერად რუსულ-ქართული დიპლომატიის დალაგება გახდა ის ლაბირინთი, რომლიდანაც ვერანაირად ვერ გამოვდივართ!

ზუსტად 22 წლის წინათ მითხრა ცხონებულმა ვახტანგ გოგუაძემ: „ამერიკული ბომბი რომ ჩამოაგდონ თბილისში „უიმე, დედა, რა კარგი ბომბიაო, იტყვიან..." ასეთი გამოდებილებულია პოლიტიკოსთა ნაწილიო.

2002 წლის მაისი იდგა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო ოკუპანტი, მხოლოდ მტრული სახელმწიფო ერქვა... ალბათ, რადგან ჯერ არ იყო დამდგარი „ახალი წელთაღრიცხვა და საქართველოს ჯერ არც ისტორია ჰქონდა", ის ხომ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ე. წ. ვარდების რევოლუციამ საქართველო შვა...

ცხონებულ ვახტანგთან ჩემი სტუმრობა იმჯერად მისი მოსკოვში ყოფნითა და იქ ჩატარებული კონფერენციის შინაარსის გაცნობის ინტერესით იყო გამოწვეული. კმაყოფილი ჩანდა ბატონი ვახტანგი, როგორც წესი, ასეთი კონფერენციები მხოლოდ ლაი-ლაია, მაგრამ შევცდი, ძალიან საინტერესოდ წარიმართა შეხვედრაო. კონფერენციის თემა იყო „საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში". კონფერენციის შემდეგ „ჩვენებმა" სამი პუნქტი შესთავაზეს რუსეთის წარმომადგენლებს: ერთიან საბაჟო სივრცეში შესვლა, კოლექტიური უსაფრთოების კავშირში შესვლა და ევრაზიულ ინტეგრაციაში გაერთიანება. ეს რომ განხორციელდეს, საქართველო აყვავდებაო, — სჯეროდა, რომ ეს მოხდებოდა და ბავშვივით ხარობდა ბატონი ვახტანგი.

ბატონი ვახტანგი, წლების წინათ, ჩემი ლექტორი გახლდათ და სხვანაირად თბილი ურთიერთობა გვქონდა, ვმასლაათობდით, რაც შემდეგ ინტერვიუებად „ცხვებოდა." ამდენად, რაც გამახსენდა და მნიშვნელოვნად მივიჩნიე. შესაძლოა, თანმიმდევრული არ იყოს, მაგრამ არსი ზედმიწევნითაა გადმოცემული.

ბატონო ვახტანგ, საქართველოს აყვავების მზა რეცეპტი გქონიათ, მის განხორციელებას ხელს რა უშლისმეთქი?

იმ დროისთვის ერთგვარად გასაოცარი რამ მითხრა — ბუშის მოსვლამდე ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები იყო გარკვეული ძალები აშშ-იდან, მისი მოსვლის შემდეგ კი, საქართველოს რუსეთთან მეზობლობისა და მეგობრობის უფლება ეძლევაო.

ცხადია, ჩავეძიე ძაღლის თავის დამარხვის ადგილს — არსებობს რამდენიმე ტრანსნაციონალური ორგანიზაცია, რომელთაც თავიანთი ინტერესები აქვთ და სრულებით არ აძლევთ ხელს, რომ რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლობა და სახელმწიფოებრივი მეგობრობა შედგესო.

უფრო დამაბნია! მანამდე მხოლოდ ორი რუსეთი ვიცოდი, ახლა აღმოჩნდა, რომ ორი აშშ-იც ყოფილა...

მისგან გავიგე, რომ, როდესაც სსრკ-ის დანგრევა დაიწყო, გეგმაში საქართველოს იმ დონემდე განადგურება იყო ჩადებული, რომ მართლმადიდებლობა მომსპარიყო;

რომ, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ-სა და რუსეთს შორის იმდენად შერბილდა ურთიერთობა, აშშ-მა შევარდნაძეს მისცა უფლება, აღარ ჰქონოდა დაძაბული ურთიერთიერთობა რუსეთთან. ბინ ლადენის ელემენტი გამოიყენეს, თორემ სახელმწიფო გადატრიალებაზე აქვთ ეჭვი, ამ ამბავში აშშ მონაწილეობდა აშშ-ის წინააღმდეგო...

სჯეროდა ცხონებულს, რომ შევარდნაძე გადადგამდა ნაბიჯს რუსეთისკენ არა აშშ-ის ჯინაზე, არამედ აშშ-ის თანხმობით.

დაიხსომეო: პარლამენტში რომ ანგრევენ ყველაფერს, „ცრუ, ცრუ-ს დავალებით, ცრუ-მ" (ცენტრალური სადაზვერვო უწყება), „ცრუ" რომ ეტყვის ამათ „მოდი, ერთი, აქ, ბიჭიკოო", დამთავრდება ეს ყველაფერი. როდესაც პუტინი და აშშ გადაწყვეტენ კავკასიის საკითხს, დღეს პარლამენტში რომ არიან და მკვდარსა და ცოცხალს უტრიალებენ პუტინს, ისინი ჩაგვასწრებენ მოსკოვში მე და გრიშა ონიანსო.

შევეპასუხე, რუსეთში ესენი რომ დარბიან და რუსული პასპორტებით, დიპლომებითა და რუსული ფულით არიან ჯიბედამძიმებულები, ისე უნდა-მეთქი!

მიპასუხა: ხომ არიან ცრუ ქართველები, ასე არიან ცრუ რუსებიც და ესენი პოულობენ ერთმანეთთან საერთოს, როგორც კი უბრძანებენ რომ შეწყვიტონ, მაშინვე მორჩებიანო;

„კგბ"-ს ყველა აგენტი „ცრუ"-ს აგენტი გახდა-მეთქი, რომ ვამბობდი, ხომ გახსოვს, ჰოდა, აგენტის დავალება შეიცვალა, თორემ აგენტი კი არ შეცვლილა. ისეთ ვიღაცებს ნახავთ მერე, „რუსეთის კაცი ვიყავიო", რომ იტყვის, გაოცდებით.

ხალხს რომ ჰგონია, ამერიკელები რას გიშლიდნენ რუსეთთან მეგობრობაშიო — არ გიშლიდნენ კი არა, შევარდნაძეს მოსთხოვეს, ჩეჩენ ბოევიკებთან ერთად რეგულარულ ომში ჩართულიყო რუსეთის წინააღმდეგ. შევარდნაძე არ წავიდა ამაზე და ამიტომაც იყო, ეს ცუდად გაზრდილი ლაწირაკი ბაჯაჯლუები რომ დარბოდნენ ვაშინგტონში და აბეზღებდნენ, არიქა, თვალი რუსეთისკენ უჭირავს და არ გაგიძვრეთო. ეს ხელმოცარულები დარბოდნენ ოლბრაითთან, გორთან, ბზეჟინსკისთან და ამისთანებთან, მაგრამ ესენივე დარბოდნენ ევგენი პრიმაკოვთან და ამიტომაც ერქვათ „პრიმაკოვ-კოჟოკინის ბიჭებიო".

ზოგადად, მტერს რომ მოყვრად აქცევ, ეს არის პოლიტიკური სიბრძნე და არა ის, რომ მოყვარეს მტრად მოიკიდებო...

იმ დროს კოდორის ხეობაში დესანტი გადმოისხა „საიდანღაც" და მათზე რომ ვკითხე, გაიღიმა, ეს ორდღიანი ომი ამერიკული პროვოკაცია იყო, კაი საქმე გაუკეთეს ამ ნორჩმა რეფორმატორებმა შევარდნაძეს, ქულა აალებინეს რუსეთთან — მელა იმის ჩიტია, ამათ მახეში მოხვედესო?

აქ ცოტა წავიწიკვინე, ჩვენი „თეთრი მელა" და „კგბშნიკი პუტინი" თუ ასე მაგრები იყვნენ თავიანთი „ინდაურა ბუშით" (ინდაურის შეწყალება ვიგულისხმე), აბა, ის როგორღა იყო, რომ სამივე კინაღამ ერთად ამოატრიალეს, — რა უცნაური სამკუთხედია, არა-მეთქი?

ის წლები ისე ცუდად მაქვს ჩარჩენილი, ენით ვერ აღვწერ — რასაც ბრმა-ყრუობა ჰქვია, სწორედ ის იყო საქართველოში მასიურად მოდებული. „საერთო გაზეთის" წინამორბედი „მართლი გაზეთი" გამოიცემოდა მაშინ — როგორ ვცდილობდით, ხალხისთვის თვალი აგვეხილა... ვუღეჭავდით რეალობას და მოსალოდნელ სავალალო შედეგს ვუხატავდით, ყველაფერს იმ სახელს ვარქმევდით, რაც ერქვა; მოვუწოდებდით ხელისუფლებასაც და ხალხსაც, რომ სარეველა მანამდე გაგვემარგლა, სანამ ფესვებს გაიკეთებდა და ამოსაძირკვად დიდი ძალისხმევა იქნებოდა საჭირო, მაგრამ ვინ გაიგონა, პირიქით, უცხო ქვეყნის ქართველ აგენტებს გულმოდგინედ კვებავდნენ სასუქით და რწყავდნენ, არიქა, დროზე გაიხარონო. კაცმა რომ თქვას, არც ზურაბ ჟვანია იყო და არც სააკაშვილია ქართველი, მაგრამ ამის გაგონებაც არავის უნდოდა, სანამ მათ შორის არ ჩამოვარდა ჟვანიასთვის საბედისწერო განხეთქილება...

მოკლედ, მასიურად არავინ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რითიც ე. წ. სიმართლის სახელით გაწვრთნილი ე. წ. ჟურნალისტები ტვინს უმუშავებდნენ ტელევიზია „რუსთავი-2"-ით — იმდროინდელი, ყველაფერი, „ე. წ." იყო,

და აი, რა ხდებოდა „უცნაური სამკუთხედის" გარშემო!

„მოსკოვი პუტინისა და თბილისი შევარდნაძის გარეშე!" — ასეთი ლოზუნგი რომ არაადეკვატური იყო, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, მაგრამ აკი ვთქვი, ბრმაყრუობა იყომეთქი.

რუსული სპეცსამსახურების ნომრიანი აგენტი მიხეილ სააკაშვილი დაკავშირებული იყო სპეცსამსახურების იმ ძალებთან, რომლებიც დასავლეთიდან მიღებული დირექტივებით მოქმედებდნენ შევარდნაძე-პუტინის წინააღმდეგ — საიდუმლოდ დაკავშირებულ პირებს უდიდესი გეგმა ჰქონდათ შემუშავებული.

რუსული „იმიჯკონტაქტი", რომელიც დაარსებიდანვე დასავლეთიდან მიღებული დირექტივების შესაბამისად მოქმედებდა, ჟვანია-სააკაშვილის სამსახურში იყო და განახლებული პროგრამით დაიწყეს საზოგადოების ზომბირება.

11 სექტემბრის ნიუ-იორკის ამერიკული ტერაქტის შემდეგ, შანხაიში აშშ-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრამ და იმ ფაქტმა, რომ პუტინმა სუპერსახელმწიფოს პოსტსაბჭოთა სივრცის აზიური სამხედრო ბაზების დროებითი დათმობით მყარი პლაცდარმი შეაქმნევინა ჩეჩნეთის საზღვართან, აშკარად თუ ფარულად, აამხედრა როგორც ბუშის, ისე პუტინის მოწინააღმდეგეები.

ამ გარიგების პროცესუალური შესრულების ბოლო ეტაპზე ატყდა ქართული მედიისა და პოლიტიკური ელიტის ცალკეული წარმომადგენლების კიჟინი კოდორში შეიარაღებული ჩეჩენი და არაბი ბოევიკების დაბანაკებაზე, რასაც რუსეთის მიმართ შევარდნაძის აგრესიული გან-

## წინა ნომერში დაწყებული კომენტარის გაგრძელება

წინა ნომერში (24.04.2024) დავადგინეთ, რომ მიზეზი, რომელმაც საქართველოს კონფლიქტები დაბადა, მხარეებს შორის პოლიტიკური თანასწორობის ფორმალურად არსებობა გახლდათ. ამიტომ გამოითქვა აზრი, რომ ჩვენი კონფლიქტების დასრულებისთვის საკმარისია ფორმალური თანასწორობის რეალური თანასწორობის რელსებზე გადაყვანა. ამის მისაღწევად, ხუთეულის ფორმატის წევრებმა: თბილისმა, სოხუმმა, ცხინვალმა, მოსკოვმა და ვაშინგტონმა, ერთად უნდა მოიძიონ მსოფლიოში არსებული ტერიტორიული მოწყობის მოდელებიდან ისეთი მოდელი, რომელიც მისაღები აღმოჩნდება კონფლიქტის ყველა მხარისთვის: თბილისისთვის, სოხუმისთვის და ცხინვალისთვის. ერთ-ერთ ასეთ ვარიანტად მოვიტანე ამერიკული, ანუ შტატებად დაყოფის მოდელი, მაგრამ მოვიტანე ვარიანტად და არა საბოლოო პროექტად, ვინაიდან გადამწყვეტი სიტყვა ხუთეულის ფორმატის წევრებს ეკუთვნით.

ამ ნომერში უნდა გვემსჯელა იმაზე, თუ ვინ უნდა წარუძღვეს საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების პროცესს, მაგრამ ვფიქრობ, ამ საკითხზე მსჯელობა მომდევნო ნომრისთვის გადაიდება. რატომ? იმიტომ, რომ აუცილებლად აღმოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც იტყვიან: „რა დროს საქართველოს კონფლიქტებია, მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე ვდგავართო". მათი მხრიდან ასეთი შეკითხვის დასმა ლოგიკურია. ამიტომ ამ ნომერში ვისაუბრებთ მხოლოდ იმაზე, თუ რატომ უნდა დავიწყოთ კონფლიქტების დარეგულირება იმ დროს, როდესაც უცნობია, რა ელოდება მსოფლიოს? კარგი რომ არაფერი ელოდება, ამას ყველა ვხედავთ. ამიტომ გთავაზობთ, ჩვენივე წარმოსახვაში დავხატოთ ის სურათი რომელიც დღეს მსოფლიოშია. ამისათვის მსოფლიო წარმოვიდგინოთ ყველასთვის კარგად ცნობილ არყის სახდელ ქვაბად, რომელშიც ჩაყრილია არყის მისაღები სათანადო მასალა. მოგეხსენებათ, ქვაბს ცეცხლს შეუნთებენ და შიგთავსის მალე ადუღების მიზნით, დროებით ორთქლის გამოსადენ ადგილსაც კეტავენ. გამომხდელმა იცის, როდის უნდა გახსნას ორთქლსადენი და როდის უნდა მიუშვას წყლის ჭავლი ორთქლის გაციებისათვის და არაყად გადაქცევისათვის. მაგრამ ჩვენს მაგალითში არყის ქვაბი მსოფლიოა და ამიტომ მას გამომხდელი არ ჰყავს, ანუ არ ჰყავს ის, ვინც უნდა გახსნას ორთქლსადენი. რა ელოდება ამ პირობით არყის სახდელ ქვაბს, ანუ მსოფლიოს? აფეთქება. რა არის საჭირო აფეთქების პრევენციისათვის?

ქვაბს სასწრაფოდ უნდა გამოვაცალოთ ცეცხლი, ცეცხლის როლს კი უკრაინის ომი და ისრაელ-ჰამასის ომი ასრულებენ. სერიოზულად არავინ ფიქრობს ამ ომების მშვიდობიან ფორმატში გადაყვანაზე, შეიძლება, არც აწყობთ ამ ომების დასრულება. მაგრამ მთავარ საფრთხეს ვხედავ იმაში, რომ უკრაინის ომში ერთმანეთს ებრძვის ორი ბირთვული იმპერია. უკრაინის ომი გაჭიანურდა, ვინაიდან რუსეთს ბრძოლა უწევს ნატო-ს ყველა წევრთან, ნატო კი ძალიან დიდი ძალაა, ამიტომ რუსეთი ან ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ან შექმნის სამხედრო ალიანსს ჩინეთთან და იმ სახელმწიფოებთან, ვინც უკმაყოფილოა აშშ-ს საგარეო პოლიტიკით, რომელიც ამერიკული წესრიგის ექსპორტზეა მიმართული. ამიტომ მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბება, ჩვენი არყის სახდელი ქვაბი კი უკვე ზანზარებს მასში დაგროვილი გავარვარებული ორთქლისგან.

ვინაიდან ქვაბისთვის ცეცხლის გამოცლა, ანუ ომების მშვიდობიან დიალოგში გადატანა ზღაპარია, ამიტომ

# ტერიტორიების დაბრუნების გზა

ცხადებები მოჰყვა, თუმცა პუტინი სრულიად მშვიდად იყო. პოსტსაბჭოთა ექს-საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთს საჯაროდ დაუპირისპირდა, რასაც რუსული „მემარცხენე“ პოლიტიკური ძალებისგან საპასუხო აგრესია მოჰყვა და პუტინი მაინც რატომ დუმდა?

ბრმაყრუობაში მყოფ დაბანგულ საქართველოს მოსახლეობას რანაირად გააგებინებდი, რომ „დიდი სამთა შეთანხმება“ შედგა, როცა რუსეთსა და ამერიკაშიც ვერ გაიგეს, რა მოხდა და ბუშის დასაცავად რესპუბლიკელებს სრული მობილიზაცია დასჭირდათ.

სხვათა შორის, ერთ წელს თუ კახა თარგამაძის გადადგომამ იხსნა, 2002 წლის გაზაფხულზე კოდორში შექმნილი დაძაბულობისგან შევარდნაძე პუტინმა იხსნა. ამ ორივე შემთხვევაში, სიტუაციების ორგანიზატორები ჟვანია-სააკაშვილი იყვნენ, რომლებიც დასავლეთის ტრიბუნიდან არშემდგარ ქართულ სახელმწიფოზე საუბრობდნენ.

ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფი კრიმინალების მეშვეობით ერთიმეორის მიყოლებით აწყობდა შიდა თუ სასაზღვრო დივერსიებს, რაც თავდასხმებსა და ძარცვაში გამოხატებოდა, არც ვინმეს სიკვდილზე იხევდნენ უკან — მათ მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდათ იმ ეტაპზე, მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინათ როგორ ბინძურად ებრძვის შევარდნაძის ხელისუფლება ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებას საქართველოში. ამ მასშტაბურ აქციებში ამერიკულ-რუსულ-სომხური ფული ტრიალებდა და დასავლეთის რუსი რეზიდენტებისთვის უკვე მიყიდული ჰქონდათ საქართველოს სტრატეგიული საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაციები.

პრიმაკოვ-ლუჟკოვ-სურკოვის ტრიოს ჩაებღაუჭნენ „პრიმაკოვ-კოჟოკინის ბიჭები“ და ორმხრივი შეთანხმებით დაიწყეს სახელმწიფო გადატრიალებისთვის მზადება პუტინ-შევარდნაძის წინააღმდეგ. აბა, ამის გამგები ვინ იყო და რაც ხდებოდა, ან იმის ანალიზის გამკეთებელი, რა მოჰყვებოდა ამ ყოველივეს...

მალე სააკაშვილისა და ოლბრაითის ჟამი დამთავრდება, ორი დევი შეთანხმდება და საქართველო ფეხზე მყარად დაგებაო, — მტკიცედ სჯეროდა ვახტანგსაც და ბარე ორსაც.

დღემდე ვდაგავართ და ველით, უსაზღვროა ჩვენი ლოდინი... იდექი და ელოდე, როდის შეთანხმდება ორი დევი...

ბატონმა ივანიშვილმა საქვეყნოდ განაცხადა საქართველოს გაერთიანებისკენ სწრაფვაზე, მანამდე, უწმიდესმა თქვა საგულისხმო სიტყვები რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან და მის ამ სოფლიდან მეორე სოფელში გასვლასთან კავშირზე... ქვეყნისთვის ისტორიულად ზემნიშვნელოვანი სასიკეთო სურვილები და მიზნები კარგია, მაგრამ აღსრულების მექანიზმი რომ არ ჩანს?

საქართველო ისევ იმ მოცემულობის მძევალია, რომელშიც გასული საუკუნის მიწურულში მოღალატე ქართველების ძალისხმევით ჩავარდა და 2003 წელს ცხვირამდეც ჩაეფლო. ვართ ახლა პოლიტიკურ ჭაობში და ვერც ვფართხალებთ იმის შიშით, უფრო არ ჩავეფლოთ, ცხვირიც არ ჩაგვაყოფინონ და სამუდამოდ არ შევწყვიტოთ სუნთქვა...

სამწუხაროდ, არ ჩანს არანაირი გეგმა, რაც საქართველოს გამთლიანების წინაპირობა იქნება, პირიქით, თუ რაღაც ინიციატივა ჩნდება, მყისიერად აქრობენ ან სულაც, იგნორირება ხდება და ეს ხდება ისევ იმ მოღალატე ქართველების გაავებული ყეფის გამო.

წლების წინათ, 1997 წლის 14 აგვისტოს, თბილისში იგეგმებოდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის ოფიციალური ვიზიტი. ეს იგივე პლეხანოველი, ლენინგრადისქუჩელი პრიმაკოვია, დღევანდელი „ნაცსექტის მამები“ ოლია მათხოვარივით რომ აკითხავდნენ მოსკოვში და ორ გროშად ემსახურებოდნენ საქართველოში რუსეთის ინტერესებს — დღევანდელმა მათმა დაბოლილმა უსახურმა „მასოვკამ“ ამის შესახებ რა უნდა იცოდეს, ნილოსი სვანეთში რომ ჰგონიათ. პრიმაკოვმა, ყველასთვის მოულოდნელად, ტუ-134-ის ბორტზე ვლადისლავ არძინბა, სერგეი შამბა და ანრი ჯერგენია აიყვანა, თვითმფრინავი კი, მოსკოვის ნაცვლად, თბილისისკენ გამოფრინდა.




მთელი დღე-ღამის განმავლობაში იმართებოდა მოლაპარაკებები მხარეებს შორის და მეორე დღეს ხელი მოაწერეს საბუთს, რომლის მიხედვითაც, თბილისი და სოხუმი უარს ამბობდნენ იარაღის ენით ერთმანეთთან ლაპარაკზე — ეს ხდება იმის შემდეგ, რაც 1995 წლის იანვარში, თენგიზ კიტოვანის ძმაბიჭებისგან შემდგარი რაზმი ვითომ „აფხაზეთის გასათავისუფლებლად“ გაემართა.

ევგენი პრიმაკოვმა თბილისში ბრიფინგის დროს საჯაროდ განაცხადა, რომ ამ შეხვედრის ინიციატორი რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტი ბორის ელცინი იყო. ლოთბაზარა ელცინი რომ არაფრის გადამწყვეტი იყო ერთპიროვნულად ცხადი იყო. საინტერესო ის ფაქტია, რომ პრიმაკოვი არძინბას აფხაზეთის პრეზიდენტად კი არ მოიხსენიებდა, არამედ, უბრალოდ, აფხაზების ლიდერს უწოდებდა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, მოულოდნელად, ვლადისლავ არძინბამ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტი მიიწვია სოხუმში და ვრცელი ინტერვიუ მისცა (ინტერნეტში იყო სრული ვერსია და, შესაძლოა, ისევ არის). მან გაიხსენა აღნიშნული შეხვედრის წინაპირობა და აღნიშნა, რომ თბილისთან დასალაპარაკებლად რუსებმა დასვეს.

„საწყის ეტაპზე მზად ვიყავით, სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე მოგვეწერა ხელი, თუმცა, ქართული მხარე, რომელიც ჩვენთან ერთად იმყოფებოდა მოსკოვში, უარზე დადგა. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, ერთიანიანი სახელმწიფოს რანგში გაგვეგრძელებინა თანაცხოვრება, მაგრამ...“ — ეს არძინბას სიტყვებია, მაგრამ რა მოხდა, რამ და ვინ ჩაშალა ეს სასიკეთო საქმე, ან რატომ, არავინ ვიცით. არძინბა და შევარდნაძე, ორივე ისე წავიდა საიქიოში, ჯერ არ ჩანს, რომ სადმე, რაიმე ახსნა წერილობით მაინც დაეტოვებინა რომელიმეს. ფაქტად დარჩა ისიც, რომ აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი მიესალმა რუსეთის, როგორც მედიატორის როლს აფხაზ და ქართულ მხარეებს შორის, თუმცა, იანკებისას რას გაიგებ, ერთ ხელს რომ კეთილისმსურველის რანგში გიწვდიან, მეორეთი სამსალას გიმზადებენ...

მოცემულობა, რომელიც არ იცვლება, ასეთია, მეზობლების მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებულ საქართველოს ტერიტორიებს ბრძოლით ვერ დავიბრუნებთ, არანაირი სამისო სამხედრო რესურსი არ გვაქვს...

ახლა ყოვლად არარიტორიკული შეკითხვა მაქვს: წინა ხელისუფლების დროს დავით ბაქრაძე სოხუმს ეწვია და სერგეი შამბა თბილისში მოიპატიჟეს. რეგვენთა შორის ურეგვენესი უნდა იყო ადამიანი, რომ დაიჯეროს, რუსეთის ჩარევისა და ნების გარეშე მოიკითხეს ერთ ცისმარე დილას ერთმანეთიო.

2007 წლის 25 ოქტომბერს ჩავიდა დავით ბაქრაძე სოხუმში და რა პირობაც დადო, კეთილი ნების გამოხატვის ნიშნად, 27 ოქტომბერს მყისიერად აღასრულეს, გაათავისუფლეს 7 აფხაზი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც შეიარაღებული დაპირისპირების დროს დააკავეს. აღსანიშნავი იყო, რომ ოფიციალურ შეხვედრაზე შამბამ აღარ გაიმეორა, რომ აფხაზეთი საქართველოს მეზობელი სახელმწიფოა და მოლაპარაკებები სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რანგში უნდა განიხილებოდეს. დაიგეგმა ქართულ-აფხაზური ურთიერთობაში პირველი და შემდგომი ნაბიჯებიც, ცხადია, დიალოგიც (ამ დათბობისკენ გადადგმული ნაბიჯის შემდეგ მალევე, რაც ჩაიდინეს 2008 წელს, ცნობილია. ასე რომ, ადგილზე ჩაკლეს დიალოგის გაგრძელებისთვის აუცილებელი ყველა წარმონაქმნი).

2014 წელს იმავე ბაქრაძემ მოისაკლისა აფხაზეთი, მაგრამ მხარი არავინ აუბა...

... და გრძელდება ასე. ტყუილად არ საუბრობდა საქართველოს გამთლიანების შესახებ ბატონი ივანიშვილი, მაგრამ „ქართული ოცნება“ რატომ არის უძრავად, რატომ არ ცდილობს გზების გამონახვას, თავისით რომ არ ჩაუხტება კალთაში რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები, ხომ კარგად იცისო? — აინტრესებს ხალხს.

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასაღებები რომ კრემლში დევს და არა სოხუმსა და ცხინვალში, ესეც ხომ კარგად ვიცით ყველამ და რა ღვთის სასწაულს ველოდებით ასეთს, — დალაპარაკება-მოლაპარაკებას ვინ გვიშლის ასე მკაცრად, იგივენი, ვისაც მოღალატე ქართველებმა მიგვყიდეს?

დაისვას შეკითხვა საქართველოს ძირძველი ტერიტორების დაბრუნების შესახებ და მოვისმინოთ პასუხები. როგორც „გამჭვირვალობის კანონზე“, ამ საკითხშიც მოხდეს ლუსტრაცია და გავიგოთ, ვინ არიან ის მოღალატე ქართველები და მათი მეგობრები, რომელთა ვინაობას ასე საგულდაგულოდ ფუთავს ყველა!

შუბი ხალთაში არ იმალება, ყველამ კარგად ვიცით ყველაფერი, მაგრამ ოფიციალური სახე მიეცეს, გვინდა თუ არა ორგანიზმი საქართველოს მხარ-ბეჭი — აფხაზეთი და სამაჩაბლო!

**მაია ჟელიძე**

---

**სასწრაფოდ უნდა გაიხსნას ამ ქვაბის ორთქლსადენი. სწორედ ამ გახსნის ფუნქციას შეასრულებს ხუთეულის ფორმატის მიერ საქართველოს კონფლიქტების დასრულება. მიაქციეთ ყურადღება, მოსკოვი და ვაშინგტონი, უკრაინაში ზემოთხსენებული ქვაბის, ანუ მსოფლიოს აფეთქებას უწყობენ ხელს, ხუთეულის ფორმატში მონაწილეობით კი, მოსალოდნელი აფეთქების პრევენციას მოახდენენ. მე შორს ვარ აზრისგან, რომ ჩვენი კონფლიქტების დასრულების შემდეგ აშშ-ისა და რუსეთის ლიდერები ჩაეხუტებიან ერთმანეთს, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ დათანხმდნენ უკრაინის ომის მშვიდობიან კალაპოტში გადაყვანაზე.**

**ამიტომაც არის აუცილებელი მოსკოვის და ვაშინგტონის ჩართულობით ჩვენი კონფლიქტების დასრულება, თან სწორედ ახლა, როდესაც მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე ვიმყოფებით.**

**მაგრამ ხუთეულის ფორმატში მოსკოვის ფიგურირებამ შეიძლება ჭკუიდან გადაიყვანოს რადიკალური ოპოზიცია, ამიტომ რუსეთზე ცალკე ვისაუბრებ და სწორედ რადიკალური ოპოზიციის გასაგონად.**

**რუსეთს, ისევე როგორც: თურქეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს საქართველოსთან სახმელეთო საზღვარი გააჩნია, ამიტომ ჩვენთვის ოთხივე კარის მეზობელია. ქართველებს უამრავი ბრძნული გამონათქვამი გვაქვს, მათ შორის, კარის მეზობელთან დაკავშირებით, კერძოდ: „მეზობელო კარისა, სინათლე ხარ თვალისა“. დღეს რუსეთზე ვერ ვიტყვით, თვალის სინათლე ხარო, მაგრამ მეზობელია და ამ ფაქტს უნდა შევეგუოთ. კორპუსის მეზობლებზე რომ იყოს საუბარი, სადაც ორი მეზობელი ვერაფრით ვერ ეგუება ერთმანეთს, ერთ-ერთმა შეიძლება საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოს: სხვა კორპუსში, სხვა ქალაქში ან სხვა ქვეყანაში გადავიდეს საცხოვრებლად. საქართველო და რუსეთი ადგილმდებარეობას ვერ შეიცვლიან, ამიტომ მუდმივად მეზობლებად დარჩებიან, თან კარის მეზობლებად. თუ ეს მეზობელი ცუდად მიგაჩნია, იმის ძახილით, ცუდი ხარო, ვერაფერს შეცვლი, მაგრამ ურთიერთ დაახლოებისკენ ორივე მხრიდან გადადგმულმა ნაბიჯებმა შეიძლება, რადიკალურად შეცვალოს ქართულ-რუსული ურთიერთობები. ცვლილება ქართულ-რუსულ ურთიერთობებში შეიძლება, ხუთეულის ფორმატში მოსკოვის მონაწილეობამ გამოიწვიოს. ამ ფორმატში მოსკოვთან ერთად ვაშინგტონის მონაწილეობამ კი შეიძლება გამოიწვიოს სასიკეთო ცვლილებები თავად მოსკოვის და ვაშინგტონის ურთიერთობებში, რაც მსოფლიოს მშვიდობაზეც მოახდენს პოზიტიურ გავლენას. ამიტომ, თუ რადიკალური ოპოზიცია უკრაინის ნამდვილი მეგობარია, ხელი არ უნდა შეუშალოს ხუთეულს საქართველოს გამთლიანებაზე მუშაობის პროცესში, ვინაიდან საქართველოს გამთლიანებამ შეიძლება უკრაინის ომის დიალოგის ფორმატში გადაყვანა გამოიწვიოს. რატომ? იმიტომ, რომ აბსურდია, მოსკოვმა და ვაშინგტონმა საქართველოში ხელი შეუწყონ მშვიდობის გამყარებას, უკრაინაში კი გააგრძელონ მშვიდობის დასამარება. ამიტომ, საქართველოს გამთლიანებაში უკრაინის ომის დასრულების შესაძლებლობა უნდა დავინახოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინის ომი ძალიან დიდხანს გაგრძელდება და კიდევ უამრავ სიცოცხლეს შეიწირავს.**

**შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ იმაზე, თუ ვინ უნდა იზრუნოს ხუთეულის ფორმატის შექმნაზე, ანუ ვინ უნდა წარუძღვეს (უხელმძღვანელოს) საქართველოს გამთლიანების პროცესს.**

**როლანდ ნიკოლაიშვილი**
**„მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ თავმჯდომარე**

# ეს იყო სააკაშვილის ოჯახის, გვარამიას და მათი ლობისტების მიერ დაფინანსებული რეზოლუცია



*პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე „საერთო გაზეთთან“ პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ საუბრობს:*

**- თამარ, რამდენიმე დღის წინ, ევროკავშირმა გამაოგნებელი რეზოლუცია გამოაქვეყნა, რაც, შეიძლება ითქვას, საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. მაინც, რას ემსახურებოდა ეს დოკუმენტი?**

- ეს იყო ევროპარლამენტარების „გედის სიმღერა“, რომლებმაც ასე დაასრულეს თავიანთი 4-წლიანი მოღვაწეობა. ისინი დაემშვიდობნენ პოლიტიკას და დიდი იმედი მაქვს, რომ ფოტიგებს, კუბილიუსებს და კრამონებს, რომლებმაც თავი ნეგატიური და არაევროპული მიდგომებით დაგვამახსოვრეს, ივნისის არჩევნების შემდეგ, ევროპარლამენტში ველარ ვიხილავთ. გვაქვს ინფორმაცია, თუ რა ხდება ევროპულ სახელმწიფოებში: საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, უნგრეთში... ეს ქვეყნები დღევანდელ ევროპულ პოლიტიკას აკრიტიკებენ და ვიმედოვნებთ, რომ ევროპა აიხსნის არტახებს, ისევე, როგორც ჩვენ, გაუძლებს ამ ზეწოლას და სწორ გადაწყვეტლებებს მიიღებს.

საქართველო და ევროპა დღეს თანაბრად გადიან ბრძოლის გზას სუვერენიტეტისა და სრული დამოუკიდებლობისაკენ. ჩვენც და ევროპაც სერიოზულ ზეწოლას ვუძლებთ აშშ-ისგან. ამერიკა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, სწორად იქცევა, რადგან ცდილობს, არ დაკარგოს ლიდერი სახელმწიფოს სტატუსი მსოფლიოში, მაგრამ მეორე საკითხია, რას ვიზამთ ჩვენ?! - კიდევ მეტად მორჩილები გავხდებით, თუ სუვერენიტეტს მოვიპოვებთ და გადავარჩენთ ჩვენს ქვეყნებს, ჩვენს ფასეულობებს, ჩვენს უძველეს საქრისტიანოს! „ევროპა“ პირდაპირ ითარგმნება, როგორც „საქრისტიანო“, მაგრამ ახლა მისგან ყველაფერი დარჩა საქრისტიანოს გარდა. მან თავისი სახელწოდების მნიშვნელობა, ისტორიული მისია დაკარგა და ეს ყველაფერი ფსევდოლიბერალიზმის შედეგია.

ევროპაში და, განსაკუთრებით, საფრანგეთში კარგად იციან, რა არის ამერიკული Wokeism-ი. მემარჯვენე იდეოლოგიის მიმდევრებმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მიწურულს დაინახეს მასში რეალური საფრთხე, ხოლო 2010 წლიდან უკვე ღიად დაუპირისპირდნენ ლიბერალიზმის ახალ აგრესიულ მიმართულებას, რომელიც მოიცავს იდენტობის პოლიტიკას, სოციალურ სამართლიანობას, ლგბტ უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას. Wokeism-ი კლასიკური ლიბერალიზმის წარუმატებლობის შედეგად გაჩნდა, როდესაც ლიბერალიზმმა ფსევდოლიბერალიზმის სახე მიიღო. განსაკუთრებული აგრესიულობა კი სწორედ ლგბტ უფლებების დაცვაში გამოვლინდა, რაც ახალი პოლიტიკის სამართავად გამოიყენება.

დღეს Wokeism-ი სერიოზულად უტევს ევროპას. საფრანგეთში ნაციონალური პოლიტიკის ყველა მიმდევარმა იცის, თუ რა საფრთხეა ეს მისი ქვეყნისათვის და ამის წინააღმდეგ იბრძვიან ეროვნული პოლიტიკის გაძლიერებით. ამ გზას ადგანან ევროპული სახელმწიფოები და ამას ცდილობს საქართველოც. ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, სწორედ ამერიკული Wokeism-ის შედეგია. მიმდინარეობს აგრესიული ლგბტ იდენტობის პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს მორჩილების მიზნით. ამისთვის შეცვალეს მათ ილიას სიტყვები, რადგან სარწმუნოება ხელს უშლის ლგბტ უფლებების აღიარებას. „ერთობაში“ კი, თავისთავად, მოიაზრება ყველა სახის თანასწორობა, მათ შორის, გენდერულიც.

**- ევროპარლამენტის სხდომათა დარბაზში ნიკა გვარამია იწონებდა თავს. გიული ალასანიამ კი არაერთხელ გადაუხადა მადლობა ევროპარლამენტარებს, რადგან მისი შვილი ახსოვთ და აფასებენ. რეზოლუციის ნარატივიც აშკარად ამ ადამიანების ინტერესებს ემსახურება...**

- სადაც გვარამია და სააკაშვილის დედა ჩნდებიან, უკვე გასაგებია, რასთან გვაქვს საქმე. ეს იყო სააკაშვილის ოჯახის, გვარამიას და მათი პოლიტიკის ლობისტების მიერ დაფინანსებული რეზოლუცია, ამერიკის იდეოლოგიის გამტარებელი ევროპარლამენტარების დახმარებით. რა თანხებს იხდიან ჩვენი რადიკალები ყოველწლიურად საკუთარი ქვეყნის „გაშავებისთვის“, ამერიკული „ფარას“ დოკუმენტაციით ვიგებთ და იმედი გაქვს, წლის ბოლოს იმასაც გავიგებთ, რამდენი გადაიხადეს ამჯერად რეზოლუციის ტექსტის შემუშავებაში საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. საბედნიეროდ, მოვისმინეთ რამდენიმე ევროპარლამენტარის კრიტიკული გამოსვლა, რომლებმაც ღიად აღიარეს, რომ საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო, შიდა პოლიტიკური პროცესები არის მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტი და მათ არა აქვთ უფლება, ჩაერიონ, რა კანონს მიიღებს ჩვენი ქვეყანა. ზოგადად კი, ევროპარლამენტის რეზოლუცია მხოლოდ და მხოლოდ რეკომენდაციაა და შენ ამ რეკომენდაციას ან გაითვალისწინებ, ან - არა. ეს არ არის სავალდებულო.

**- თუმცა, ჩვენ მოვისმინეთ მუქარის ტექსტებიც, რომ შესაძლოა, ვიზალიბერალიზაციას გადახედონ და თუკი რეზოლუციაში მითითებულ მოთხოვნებს არ ვუპასუხებთ, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები არ გაიხსნას...**

- ასე მარტივად გადასაწყვეტი არ არის ეს საკითხი. „მუქარა“ დადგენილებად უნდა იქცეს ევროკომისიის და ევროსაბჭოს მხრიდან და მთელი რიგი პროცესები უნდა წავიდეს. ჯერ ერთი, ევროპაში უკვე არჩევნებია და არც ევროკომისია, არც ევროსაბჭო ამას არ გამოხმაურებია. მათზეც იქნება ზეწოლა და რაღაც დონეზე, შესაძლოა, სიმკაცრე გამოიჩინონ, მაგრამ ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას რაც შეეხება, ეს ყველაზე დიდი ტყუილი და დეზინფორმაციაა. რატომღაც მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით და მაქსიმალურად ცდილობენ, ხალხი მოატყუონ საქართველოში. ეს რეზოლუციაც ხომ მხოლოდ იმისათვის იყო შექმნილი, რომ ოპოზიციას რუსთაველზე ხალხი გამოეყვანა! თუმცა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც მათ გამჭვირვალობის კანონს გადაუხვიეს და სააკაშვილის გათავისუფლებასა და ივანიშვილის დასანქცირებაზე დაიწყეს საუბარი. იქ დამთავრდა საკითხი და იმის ილუზიაც ბევრს გაუქრა, რომ თითქოს ჩვენი ოპოზიცია ქვეყნის კეთილდღეობის მიზნით ეწინააღმდეგება კანონპროექტის შემოტანას. მაგალითად, ახალგაზრდების, სტუდენტების ნაწილი, რომლებიც ძალიან აგრესიულად გვესაუბრებოდნენ კანონპროექტის შესახებ, დღეს უკვე აცხადებენ, რომ ეს რეზოლუცია არ მოეწონათ, რადგან იქ სააკაშვილის გათავისუფლებაზე იყო მთავარი აქცენტი. აღიარეს, რომ პოლიტიკურ თამაშებში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი, შეიტყუეს ახალგაზრდები. მიხვდნენ, რომ მათი ნაწილი ბინძური პოლიტიკური თამაშების შემსრულებელი და მონაწილე გახდა და ამ ბავშვებმა უკან დაიხიეს. იმედი გვაქვს, მალე უფრო მეტი ახალგაზრდა გააანალიზებს ამას.

რაც შეეხება მოლაპარაკებების გახსნას ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, არც ამას არავინ ეკითხება რეზოლუციის ავტორებს, რადგან არჩევნების შემდეგ, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება უნგრეთი, ვიქტორ ორბანის ხელმძღვანელობით და უნგრეთის ხელისუფლება როგორ პოზიტიურადაც არის განწყობილი საქართველოს მიმართ, კარგად ვიცით. ამიტომ ეს იყო ევროპარლამენტარების ბოლო, სამარცხვინო გაფართხალება. ყველამ დავინახეთ, რომ ამ რეზოლუციას ფულის სუნი ასდის.

კორუფცია, ზოგადად, დამახასიათებელია ევროპარლამენტარებისთვის და ეს უკვე არაერთხელ ვნახეთ. აქედან გამომდინარე, ეს ჩვენთვის სიახლე არ ყოფილა. ეს იყო ჩვეულებრივი თამაში, ოღონდ, ძალიან სუსტი და წამგებიანი, რამაც ხელისუფლების მხარდამჭერაზე უფრო



იმუშავა, რადგან ძალიან გააღიზიანა ქართველი ხალხი. ამ რეზოლუციით სულში ჩააფურთხეს ქართველ ხალხს, როცა უთხრეს, რომ ადამიანს, რომელიც მათ აირჩიეს, რომელმაც თავისი პირადი ფული, მილიარდობით დოლარი დაახარჯა საქართველოს, სანქციები უნდა დაუწესონ.

**- რაც შეეხება გამჭვირვალობის შესახებ კანონპროექტს, რას უპასუხებდით მათ, ვინც ამბობს, რომ საგადასახადოში ისეც ყველაფერი გამჭვირვალეა და დამატებით დაკანონება ამას აღარ სჭირდება?**

- როცა ამ შეკითხვას სვამენ, ვეკითხები - აბა, რომელი კანონის რომელი მუხლია საგადასახადოში გამჭვირვალე-მეთქი და მაშინვე ჩუმდებიან. საგადასახადოში რეგისტრირდება არასამთავრობო სექტორის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აკეთებს განაცხადს დღგ-ისგან გათავისუფლების გამო და ამ მიზნით ავსებენ დეკლარაციას: მაგალითად, მივიღე მილიონი, დავხარჯე 800 ათასი და მაქვს 200 ათასი - სულ ესაა, სადაც მიზნობრიობა არ ჩანს, რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს ორი რამ - რა თანხა მიიღე და რაში დახარჯე, - რაოდენობა და მიზნობრიობა. დღევანდელი საგადასახადო კოდექსი, ჯერ ერთი, ენჯეოების 80 პროცენტს არ ეხება და მეორე, მათგან ერთი პროცენტიც კი არ ასაჯაროებს დახარჯული თანხის მიზნობრიობას.

**- საზოგადოების ნაწილი უნდობლობას გამოხატავს ხელისუფლების მიმართ. მათი ვარაუდით, დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ხელისუფლებამ კანონი გაამკაცროს და ისეთივე გახდეს, რა სახითაც ამჟამად რუსეთში მოქმედებს.**

- ეს არის უვიცობა, რადგან, თუ ასეა, შიშით ვერცერთი კანონი ვერ უნდა მივიღოთ. მაგალითად, არალეგალური აბორტების აკრძალვის შესახებ კანონში საკმაოდ მკაცრი სადამსჯელო ზომებია გაწერილი, - მათ შორის, ციხე 5-დან 6 წლამდე. თუ ამ ლოგიკით მივყვებით, ვერც ეს კანონი უნდა მიგვეღო არალეგალური აბორტების შესახებ, რადგან შეიძლება ეფიქრათ, რომ შემდეგში უკვე ჩვეულებრივ აბორტს ავკრძალავდით... ნახეთ, როგორი ალოგიკური მსჯელობაა! ესე იგი, ვერცერთი კანონი ვერ უნდა მივიღოთ, ვერც, მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარების შესახებ, ვერც ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ და ასე შემდეგ, რადგან არავინ იცის, მომავალში როგორ გავამკაცრებთ ამ კანონს?!

გამჭვირვალობის კანონპროექტმა უკვე ორმაგად გააკეთა თავისი საქმე და ჯერ კიდევ დამტკიცებამდე გახადა გამჭვირვალე არამხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, არამედ, მთელი პოლიტიკური სპექტრი. ვინ ვის ყიდის, ვინ რას ყიდულობს, ვინ მოღალატეა და ვინ კეთილგანწყობილი ქვეყნის მიმართ, უკვე დავინახეთ. ამიტომ ამ კანონს ჩვენ აუცილებლად მივიღებთ. ევროპარლამენტარებმა დაინახეს, რამდენი განათლებული, ერთგული, მოაზროვნე და პატრიოტი ქართველი დადგა 29 აპრილს რუსთაველზე ჩვენი ქვეყნის დასაცავად, ჩვენი სარწმუნოების დასაცავად... დაინახეს, რომ საქართველო აუცილებლად იქნება სუვერენული სახელმწიფო და აუცილებლად გახდება ღირსეული ევროპის ღირსეული ნაწილი.



**ᲜᲝᲜᲐ ᲥᲐᲠᲥᲐᲨᲐᲫᲔ**

# საქართველოს მოსახლეობა ახალ სახელმწიფო გადატრიალებას არ შეეგუება



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:*

**— ბატონო სოსო, ევროპარლამენტმა მორიგი რეზოლუცია მიიღო. 705 ევროპარლამენტარიდან 425-მა მხარი დაუჭირა ჩანაწერს ივანიშვილის დასანქცირების, სააკაშვილის გათავისუფლებისა და ვიზალიბერალიზაციის გადახედვის თაობაზე. რეზოლუციის თანახმად, თუ ხელისუფლება „უცხო გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონს არ გაიწვევს, წლის ბოლოს მოლაპარაკებები არ გაიხსნება.**

— გამჭვირვალობის კანონპროექტი მხოლოდ საბაბია. რეალურად, ეს იმ პროცესების გამოხატულებაა, რომლებიც უკრაინის ომთან ერთად დაიწყო. საქართველოს სამსხვერპლოდ, მეორე ფრონტის გასახსნელად ამზადებდნენ. კარგად ვიცით, რა მეთოდებით ხდებოდა ხელისუფლებაზე ზეწოლა. ამ საკითხში ჩართული გახლდათ აშშ-ის ყოფილი ელჩი კელი დეგნანი, რომელიც ხან ღარიბაშვილთან მივარდებოდა, ხან ივანიშვილთან, ხან თავდაცვის მინისტრთან და მოუწოდებდა, საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დაეწესებინა.

ჩვენი ქვეყნის მიმართ დასავლეთის უკმაყოფილება არსად გამქრალა. დეგნანის შემდგომ დანიგანი მოვიდა, რომელიც თავის მოადგილესთან ერთად, გადატრიალებების მოწყობის მაღალი დონის სპეციალისტია. შესაბამისად, ის, რომ საქართველოში არჩევნები ახალი რევოლუციის და ხელისუფლების ცვლის ტრიგერი უნდა გამხდარიყო, საიდუმლო არავისთვისაა. არჩევნები ხელისუფლების ცვლილებისთვის საკმაოდ კარგი საბაბია. რადგან ცოტა რთულია, საკუთარ ბაზარზე შემდეგი ვერსია გაყიდო: პარლამენტმა მიიღო კანონი, რის გამოც ვიღაცები აჯანყდნენ, ხელისუფლება გადაატრიალეს, ხოლო დასავლეთი ამ ახალ ხელისუფლებას ლეგიტიმურად ცნობს. შემდეგ იწყება საუბარი იმაზე, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა და სინამდვილეში, სახელისუფლებო პარტიამ წააგო. თურმე მან გაყალბების წყალობით ხელისუფლება იმ ძალებისგან მიიტაცა, რომელთაც თითქოს, არჩევნები მოიგეს. კანონიერი ხელისუფლება კი ის არის, ვინც ხალხმა აირჩია. დასავლეთი ასეთად თავისი გავლენის ქვეშ მყოფ ძალას აცხადებს ხოლმე და ქვეყნის სათავეში მოჰყავს. ეს კი, როგორც სახალხო რევოლუცია, ისე საღდება. ყველამ ვიცით, ამ ტექნოლოგიების უკან ვინც დგას, მაგრამ ეს კარგად გამოცდილი მეთოდია და ამ ხაზს მიჰყვებიან.

ამჯერად საქართველოსთან მიმართებით ყველაფერი სხვაგვარად ხდება. ხელისუფლებამ ეს გათვალა და გამჭვირვალობის კანონპროექტი ხელახლა დააინიცირა. ხელისუფლებისთვის აღნიშნული სცენარი ცნობილია და ცდილობს, ახალი რევოლუციის მოწყობის შესაძლებლობა მათ წინასწარ მოუსპოს. მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომელთა მეშვეობით საქართველოში უკონტროლო ფული შემოდის, ჩვენი ქვეყნის და, ზოგადად, რეგიონის მასშტაბით, დესტაბილიზაციის მძლავრი ინსტრუმენტია. მაგალითად, ამ შავი ფულის მოძრაობა აზერბაიჯანის, ასევე, ირანის, რუსეთის წინააღმდეგაც არის მიმართული.

რაც შეეხება ევროკავშირს, იქ დრამატულ ცვლილებებს ელიან, რადგან ივნისში არჩევნებია, რის შედეგადაც იქ მემარჯვენე ძალების წარმომადგენლობა საკმაოდ გაიზრდება. ეს ეხება არამხოლოდ უნგრეთს, სლოვაკეთს, ჩეხეთს, არამედ საფრანგეთს, იტალიას. მოსალოდნელია მემარჯვენე ძალების გაძლიერება და ამ კუთხით, მკვეთრი ცვლილებები. გარდა ამისა, 1-ელი ივნისიდან უნგრეთი ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა ხდება. ევროპარლამენტის დღევანდელი შემადგენლობა, აშშ-ისა




და „სოროსის ფონდის" დიდ გავლენას განიცდის, რადგან ეს უკანასკნელი მრავალ მათგანს წინასაარჩევნო კამპანიებში აფინანსებდა.

ვიცით, რომ ამერიკაში წინასაარჩევნო წელია, ვითარება კი მძიმდება. შესაძლოა, ტრამპი ციხეში აღმოჩნდეს, რაც ბაიდენის ხელახლა გაპრეზიდენტებას გამოიწვევს. დიდი დაძაბულობის ფონზე, ალბათ, ჩვენთვის ვერ მოიცლიან. გარდა ამისა, ევროკავშირის რეკომენდაციიდან ერთ-ერთი ევროპარლამენტის რეზოლუციაშიც აისახა. კერძოდ, ლგბტ უფლებების დაცვის საკითხი, რაც დღევანდელი ევროპარლამენტისთვის რელიგიური დოგმაა. ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის პროპაგანდა, წმინდა ელექტორალური თვალსაზრისით, „ქართული ოცნებისთვის" აბსოლუტურად მიუღებელია. ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა, თუმცა ლგბტ პროპაგანდამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია და სხვა მოთხოვნებს შეერწყა: ე. წ. ვეტინგს, კოალიციური მთავრობის შექმნას, მიშას გათავისუფლებას, ივანიშვილის დასანქცირებას.

„ქართული ოცნება" ვა-ბანკზე წავიდა და მთელი რიგი კანონების პაკეტი შეიმუშავა. ესენია: უცხო გავლენების გამჭვირვალობა, გენდერული კვოტირების გაუქმება, ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა და ოფშორებიდან გადმორიცხულ თანხებზე ბეგარის გაუქმება. ეს ოთხი კანონი მიუღებელია როგორ ევროკავშირისთვის, ისე აშშ-ისთვის, რასაც სათანადო რეაგირება მოჰყვა.

ამავე დროს, უნდა გავიხსენოთ, რომ ამ ნაბიჯების გადადგმამდე საქართველო ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორი გახდა. ის რუსეთთან მიმართებით პრაგმატულ პოლიტიკას აწარმოებს. რუსეთს აქ არსებული ვითარება კარგად ესმის. ამიტომ მისი ინტერესია, საქართველოში უმართავი პროცესები არ დაიწყოს. თუ საქართველოში ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით ცვლილება, დასუსტება, დესტაბილიზაცია, სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყება, საქართველო ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის სამხრეთისთვის კვლავ უდიდეს პრობლემად იქცევა. საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით განხორციელდება ისლამისტი ტერორისტების ტრანზიტი, რაც, დიდწილად, დასავლური სპეცსამსახურების კონტროლის ქვეშაა. ეს რუსეთს არ აწყობს. დიახ, რუსეთს აქ არეულობა არ აწყობს და ეს ჩვენს ინტერესშიცაა. ასე რომ, საქართველოსა და რუსეთს შორის ინტერესების დროებითი თანხვედრა არსებობს, რასაც მეხუთე კოლონა პრორუსულ კურსად ასაღებს. არანაირი პრორუსული კურსი არ არსებობს, ეს სიტუაციური ინტერესების თანხვედრაა, რისი საქართველოს სასარგებლოდ გამოყენებაც ძალიან საშური საქმე იქნებოდა.

გარდა ამისა, არსებობს სამხრეთ-ჩრდილოეთის ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც ქვეყნების ერთ ნაწილს აწყობს, მეორეს კი — არა. მაგალითად, აშშ-ს მიაჩნია, რომ ლოჯისტიკური პროექტები, რომლებსაც თავად ვერ გააკონტროლებს, ევრაზიაში არ უნდა არსებობდეს. იმავეს ფიქრობს ბრიტანეთიც. აი, ეს გახლავთ მცირე ჩამონათვალი, თუ რატომ მიიღო ევროპარლამენტმა ზემოხსენებული უპრეცედენტო რეზოლუცია. მოკლედ, ორმხრივ საცირკო სანახაობაში ვიმყოფებით — ნატო-სა და გაეროს გენმდივნებმა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ევროდეპუტატებმა გამჭვირვალობის კანონი დაგმეს, რომელიც სახელმწიფოს წინაშე უცხოური ფულით დაფინანსებული ენჯეოებისგან, ყოველგვარი რეპრესიული მექანიზმების გარეშე გარკვეულ ანგარიშგებას ეხება. მეორე მხრივ, ეს რეზოლუცია მეხუთე კოლონისა და მათი სასარგებლო იდიოტებისთვის ერთგვარი სიგნალია, რათა აქ რევოლუცია გააჩაღონ და თავიანთ პატრონებს მხარდაჭერა დაუდასტურონ.

**— რეზოლუციის მიღებისას დარბაზში იმყოფებოდა ნიკა გვარამიაც, რომელიც, სხვათა შორის, წინასწარ საუბრობდა, ვიზალიბერალიზაციას შეგვიჩერებენო.**

— დიახ, გასაოცარი, იცით, რა არის? — ევროპარლამენტის დეპუტატებმა მიიჩნიეს, რომ ნიკა გვარამია ქართველ ხალხში განსაკუთრებულ აღტკინებას გამოიწვევს. იგი ქართველი ხალხის ნების გამომხატველად აირჩიეს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ევროდეპუტატების ნაწილს — კალიურანდებს, პავილიონისებს, გრეგოროვებს, ამ მართლაც კრეტინებს, საერთოდ არ ესმით, რა ხდება საქართველოში. ეს კრეტინიზმი მათ ანგარებას არ გამორიცხავს, ისე გვიყურებენ, როგორც თავის დროზე, ევროპელები პაპუასებს უყურებდნენ, ანუ, როგორც დაბალ რასას, რომელსაც რასაც ეტყვი, იმას გააკეთებს. ჰოდა, ჩაიყვანეს სტრასბურგში ეს „სახელოვანი ინდიელი", გაპარსეს, გაკრიჭეს, რათა რესპექტაბელური ყოფილიყო. როგორც ავი ენები ამბობენ, სწორედ გვარამია იქნება იმ ფულის განმკარგავი, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებისა და ენჯეოების მოსყიდვისთვის, რევოლუციური პროცესებისთვის გამოიყოფა. რაც შეეხება სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას, ამით ევროდეპუტატებმა სტიმული მისცეს, რომ ამ ქმედებით აღშფოთებული ხალხი ქუჩაში პროტესტის გამოსახატავად გამოვიდეს.

**— ევროპარლამენტმა მანამდეც გამოსცა რეზოლუცია, სადაც მიშას წამებაზე საუბრობდნენ, მერე კეზერაშვილი მედიამენეჯერად გამოგვიცხადეს, რომელიც, საბოლოოდ, ევროპის ინსტიტუციამ თაღლითად გამოაცხადა. რატომ გამოსცემენ ისეთ რეზოლუციებს, რომელთაც მერე მათივე კოლეგა ინსტიტუციები აქარწყლებენ?**

— ჩვენ საზოგადოებრივი აზრის კოლაფსის პირობებში, პოსტსიმართლისა და პოსტსამართლის ეპოქაში შევედით. მათ სამართლის არ ეშინიათ. მაგალითად, მე-19-მე-20 საუკუნეებში, როცა ადამიანები რამეს აშავებდნენ და ეს საზოგადოებისთვის ცნობილი ხდებოდა, ისინი საჯარო სივრციდან მიდიოდნენ. ახლა ასე აღარ არის, პასუხის მომთხოვნი არავინაა. ურსულა ფონ დერ ლაიენმა „ფაიზერთან" გარიგება დადო და ვითომც არაფერი, დღეს ჩვენ გვიკითხავს მორალს. კოვიდშიზოფრენიის პერიოდში უამრავი ადამიანი იმსხვერპლეს, გიჟურ რეკომენდაციებს იძლეოდნენ და ამის გამო ვინმე დაისაჯა?!

ახლა რეზოლუციით კვლავ სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ. არადა, უღირს საქციელთა რეესტრი რომ შევადგინოთ, დავინახავთ, რომ მიშამ ყველაფერი იკადრა: სიმხდალე, ტყუილი, მუცელღმერთობა, სიძვა, მრუშობა, მრავალცოლიანობა, მკვლელობა, გაუპატიურება, თაღლითობა, თავის მომკვდარუნება, ბიუჯეტის ფლანგვა და ა. შ. ერთი ეგ არის, რომ ჯერჯერობით, დიქტატორ ბოკასას მსგავსად, არავინ შეუჭამია და მაცივარში ადამიანის თავებს არ ინახავს. სხვა რა დაიკლო?

**— 29 აპრილს ხალხი თავისუფლების მოედანზე შეიკრიბა. როგორ აფასებთ, ამ სახალხო ერთობას?**

— მავანს სურდა, ეს ვითომ „ქართული ოცნების" პარტიულ ყრილობად გაესაღებინა. ეს აქცია იმის დემონსტრირება იყო, რომ საქართველოს მოსახლეობა ახალ სახელმწიფო გადატრიალებას არ შეეგუება. 29 აპრილს ქუჩაში 100 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა, მთელი თბილისი გარეთ იყო. დაე, ყველამ დაინახოს, რომ საქართველოს ხელახლა არევას ქართველი ხალხი აღარ შეეგუება. ხალხი გამოვიდა, რითაც ამ მავნებლებს უთხრა, რომ საზოგადოების უმრავლესობას ის ნაწილი წარმოადგენს, რომლისთვისაც რუსთაველზე მიმდინარე ბაქკანალია, რასაც სათავეში მეხუთე კოლონა, უდგას, უნდა დასრულდეს.

**თამარ შველიძე**

# თუ ქვეყნის ქვაკუთხედს არ გავუფრთხილდით, საფრთხე თავად ჩვენს არსებობას დაემუქრება



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი თამარ კიკნაძე:*

**— ქალბატონო თამარ, პრემიერი ბუდაპეშტში კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედებების კონფერენციას დაესწრო. როგორ შეაფასებთ მის გამოსვლას?**

— რა თქმა უნდა, დადებითად. უნგრეთი სწორედ კონსერვატიული მოძრაობის ავანგარდში მოიაზრება, რასაც პრემიერი ორბანი ყოველთვის ღიად აფიქსირებს. ზუსტად მისი კონსერვატიული ფასეულობებია იმის საწინდარი, რომ იგი ამ ხნის განმავლობაში იმყოფება ხელისუფლებაში. თავად ევროპაში მემარჯვენე კონსერვატიული ძალები, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ევროპულ სტრუქტურებში წარმოდგენილი არ იყვნენ. საინტერესოა, რა შედეგი მოჰყვება ევროპარლამენტის არჩევნებს. არსებული ტენდენციებით, მემარჯვენე ძალები გაძლიერდებიან. მახსენდება ანდერსენის ზღაპარი შიშველ მეფეზე, როცა სიმართლის თქმას ვერავინ ბედავს. საქართველო იმ პატარა ბიჭუნას როლშია, რომელმაც გაბედა იმის აღიარება, რომ მეფე შიშველია.

საქართველოს განსაკუთრებული მისია გააჩნია. მიუხედავად ქვეყანაზე შიდა თუ გარე ზეწოლისა, ჩვენმა ხელისუფლებამ სიმართლის თქმა გაბედა, რაც მისასალმებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მამული, ენა, სარწმუნოება — ქვეყნის ქვაკუთხედი არაფრად ჩავაგდეთ, მაშინ არათუ განვითარებას, საფრთხე თავად ჩვენს არსებობას შეექმნება. დღეს რა ხდება? — ადამიანები ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ მათ ქართველის არაფერი სცხიათ. თუ ჩვენს იდენტობას არ გავუფრთხილდით, დავიღუპებით. რა დღის წესრიგს გვთავაზობს დასავლეთი? — ეს არის ლგბტ პროპაგანდა, ანუ ადამიანის უფლებებს ამოფარებული ფასეულობები, რაც ძალიან კარგად არის შეფუთული, მაგრამ რეალურად უდიდეს საფრთხეს შეიცავს. მთავარია, ამ საფრთხეების იდენტიფიცირება და თავიდან აცილება მოვახერხოთ.

**— საქართველო კონსერვატიულ ევროპაში ადგილს იმკვიდრებს?**

— კონსერვატიული ევროპის დიდი კოალიცია, ჯერჯერობით, არ იკვეთება. თუმცა, სახეზეა უნგრეთი, სლოვაკეთი, რომელსაც საქართველო უერთდება თავისი პოლიტიკითა და განცხადებებით. მინდა მჯეროდეს, რომ კონსერვატიული ფრთა გაძლიერდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული საფრთხეები არამხოლოდ სახელმწიფოზე, არამედ ადამიანის არსებობა-არარსებობაზე ჰპოვებს ასახვას. დიახ, ის დღის წესრიგი, რასაც ულტრალიბერალური ძალები გვთავაზობენ, პირველ რიგში, თავად ადამიანის არსებობისთვის არის საფრთხის შემცველი. ადამიანს პიროვნებად აქცევს მორალური, ზნეობრივი პრინციპები, რაც ქრისტეს ათ მცნებაშია მოცემული. თუ ამ მცნებებს არ ასრულებ, ესე იგი ღმერთს არ აღიარებ. ულტრალიბერალების გაგებით, თურმე სიყვარული ავადმყოფობაა, ხოლო გეები, ლესბოსელები ნორმალურები ყოფილან. ისინი ქადაგებენ სექსს ყოველგვარი გრძნობის გარეშე. ანუ, ადამიანის გაცხოველებას, რომელსაც არავითარი მორალური, ზნეობრივი პრინციპები არ უნდა ჰქონდეს და მხოლოდ არსებობდეს. ეს ჩვენი საზოგადოებისთვის მისაღები არ არის. სამწუხაროდ, ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის გზიდან აცდენა შეძლეს, რაც ფრიად შემაშფოთებელია.

**— კონფერენციაზე ორბანმა საქართველოს მკაფიოდ სუვერენული პოლიტიკა აღიარა.**

— ჩვენ პოლიტიკური კუთხით უნდა შევაფასოთ, რა პროცესები მიდის ევროპაში. რუსეთ-უკრაინის ომი, პირველ რიგში, სწორედ ევროპას ასუსტებს, რუსეთს კი დიდად ვერაფერს აკლებს. დავაკვირდეთ, რა პოლიტიკა წარმოებს მის მიმართ: ერთი მხრივ, ლატენტურად მიმდინარეობს რუსული ნავთობპროდუქტების ექსპორტი, იმპორტი კი, ფაქტობრივად, შეწყვეტილია, რაც რუსეთს არათუ ასუსტებს, არამედ მისი შიდა წარმოების განვითარებას უწყობს ხელს. რუსეთმა სამხედრო წარმოება გააძლიერა და მას დასუსტების არაფერი ეტყობა. ასე რომ, პროცესები ნათლად უნდა აღვიქვათ. სამაგიეროდ, სუსტდება უკრაინა, რომელიც ევროპაში მეექვსე ეკონომიკა იყო. ახლა კი განადგურებულია, სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, იქ უდიდესი ადამიანური მსხვერპლია. ამ დროს, ომის ხარჯზე რიგი ადამიანები, მდიდრდებიან. ის დახმარება, რაც უკრაინას მიეწოდება, საკმარისი არ არის. ამ შემთხვევაშიც, მეფე შიშველია.

**— ორბანმა კობახიძე ასე დაახასიათა, დიდი მოჭადრაკეა ქართულ პოლიტიკაშიო.**

— პრემიერი კობახიძე თავის მისიას წარმატებით ასრულებს. ღარიბაშვილმა გაჭრა ეს სივრცე და კობახიძე ღირსეულად აგრძელებს დასახულ მიზნამდე სვლას, რაც საქართველოს გადარჩენის გზაა. მის პოლიტიკას მხარს სრულად ვუჭერ. ორბანმა კობახიძე დიდ მოჭადრაკეს შეადარა, რადგან ნათლად ხედავს, რომ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ჩვენი პრემიერი სათქმელის მიტანას შესაბამის სტრუქტურებამდე და სათანადო პოლიტიკის განხორციელებას წარმატებით ახერხებს.

**— დასავლეთის მხრიდან ზეწოლა დიდია, რაზეც პასუხი, ალბათ, უნგრეთში გამართული კონფერენციაც იყო. კობახიძემ აღნიშნა, რომ ევროკავშირში შევალთ, მაგრამ შევინარჩუნებთ მამულს, ენას და სარწმუნოებასო.**

— როგორც აღვნიშნე, ევროპარლამენტში მალე არჩევნებია, რაც მემარჯვენე კონსერვატიული ძალების რაოდენობას გაზრდის. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, „ქართულმა ოცნებამ“ დრო კარგად შეარჩია იმისთვის, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი მყარად დაეფიქსირებინა მაშინ, როცა ევროკავშირი არჩევნების მოლოდინშია. ძველები მიდიან. ზოგი ისეთ განცხადებას აკეთებს, აშკარად აგონიაშია. ჩვენი ენჯეოები გაიძახიან, ვიზალიბერალიზაციას გაგვიუქმებენო. საერთოდ, ევროპულ სტრუქტურებში კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ რთულია. ამიტომ რეზოლუციით მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას ნაკლებად შეძლებენ თუნდაც იმიტომ, რომ უნგრეთი და სლოვაკეთი ამ გადაწყვეტილებების რატიფიცირებას არ მოახდენენ. ასე რომ, საქართველოსთვის სუვერენული პოლიტიკის დაფიქსირება სახიფათო სულაც არ არის. ჩვენი მხრიდან ყველა ქმედება კვალიფიციურად, კარგად არის გათვლილი — თან სუვერენიტეტს ვაფიქსირებთ და თან ვაჭრობის ბერკეტებს ვიტოვებთ. ეს სწორად წარმართული პოლიტიკაა.

**— ნატო უკრაინაში სამხედრო ნაწილების შეყვანას იწყებს. ასევე, გავრცელებული ინფორმაციით, ბაიდენი მეორე ვადით არჩევას ელოდება და უკრაინაში ამერიკელი ჯარისკაცების შეყვანის თაობაზე ბრძანების გაცემას გეგმავს...**

— კონვენციონალურად ამის გაცხადება პირდაპირ მსოფლიო ომის დაწყების წაქეზებაა, თანაც, დაპირისპირება ატომურ ქვეყნებს შორის ხდება. არ მგონია, ეს დაუშვან. თუმცა ომი იწელება, რაც უკრაინის გარდა, ყველას ინტერესშია. უკრაინელები ომის, ნგრევის რეჟიმში ცხოვრობენ. რაც შეეხება ბაიდენის მეორედ არჩევას, გაპრეზიდენტების უფრო მეტი შანსი ტრამპს აქვს. ამას წინათ ილარიონოვს ვუსმენდი. მან თქვა, რუსეთი და ამერიკა ერთმანეთში მოლაპარაკებულია, მაგრამ არა უკრაინის სასარგებლოდ. ის თანხები, რაც აშშ-მ უკრაინისთვის გამოყო, სასაცილოა, 70 მილიარდი ზღვაში წვეთია. მით უმეტეს, რომ მისი უდიდესი ნაწილი ამერიკულ სამხედრო წარმოებას, ინსტრუქტორების მომზადებას უნდა მოხმარდეს. უკრაინისთვის ძალიან ცოტა თანხა რჩება, რასაც უშუალოდ მიიღებს. ამიტომ ეს წარმატების საწინდარი არ არის. ომის მანქანა ჩართულია. ევროპელებისგან ისმის განცხადებები, რომ სისხლისმღვრელი ომი უნდა შეჩერდეს. როგორც ვთქვი, ეს ომი ყველაზე მეტად ევროპელებს აზარალებს.



**— ფრონტის მეორე ცხელ წერტილში გადავინაცვლოთ. ერდოღანმა განაცხადა, მზად ვარ, „ჰამასის“ ლიდერები შევიფარო და შტაბბინად კატარის მაგივრად თურქეთი შევთავაზოო.**

— ეს პოპულისტური განცხადებაა. რაც შეეხება ისრაელ-პალესტინის ომს, ესეც მეორე ტრაგედიაა. თუმცა, თუ დავაკვირდებით, მთელ მსოფლიოში ანტიებრაული განწყობებია. ეს თავისთავად არ ხდება. როცა პარიზში, ამერიკაში სტუდენტები მასობრივად გამოდიან ანტიებრაული და პროპალესტინური განცხადებებით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ დღევანდელი სახით ისრაელის არსებობა ამერიკას უკვე აღარ აწყობს. სულ უფრო ხშირად გვესმის საუბარი იმაზე, რომ პალესტინის სახელმწიფოს აღიარება უნდა მოხდეს. მაგალითად, კისინჯერი გარდაცვალებამდე საუბრობდა, რომ ისრაელი, როგორც პროექტი დამთავრდა და დღევანდელი სახით ის თავის უკანასკნელ წლებს ითვლის. ესეც მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესია, რომლის თავისებურება შემდეგშია — ბევრმა ქვეყანამ შეიძლება იმ სახით აღარ იარსებოს, როგორც აქამდე იყო. ამიტომ ჩვენ პოლიტიკური რუკის ცვლილებასაც უნდა ველოდოთ.

**— ბოლოს, რა დაგანახათ 29 აპრილის შეკრებამ?**

— ოპოზიციის გამოსვლები ყელში ამოვიდა. ბევრ ადამიანს უკვე ნერვები ეშლება მათ რიტორიკაზე, თითქოს მთელი საქართველო ეს არასამთავრობოები არიან. ამ ყველაფერში დიდი რესურსი იხარჯება, რასაც ხშირად ქვეყნის საწინააღმდეგოდ იყენებენ. ბევრ ადამიანს ვიცნობ, მათ შორის მეც ვარ, ვისაც საკუთარი აზრის დაფიქსრება სურს, რათა მსოფლიოს გააგონოს: ეს ენჯეოები ქართველი ხალხის განწყობების გამომხატველი ნამდვილად არ არიან. გაცილებით ბევრია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც კონსერვატიულ ფასეულობებს უჭერს მხარს. სწორედ ეს გამოჩნდა 29 აპრილს, როცა უამრავი ადამიანი გარეთ გამოვიდა და თავისი პოზიცია დააფიქსირა.

ენჯეოების საშუალებით საქართველოში ბევრი პროცესის მანიპულირება ხდება. ქვეყნის საქმეში გარედან ჩარევები უნდა დასრულდეს. ჩვენ საკუთარ ფესვებს უნდა დავუბრუნდეთ. ეს ენჯეოები, გარე ძალები, პირველ რიგში, ჩვენი რელიგიის, ეკლესიის შეურაცხყოფაზე, დექრისტიანიზაციაზე მუშაობენ. თუმცა, ავიწყდებათ, რომ ღმერთის წინააღმდეგ სვლა ჯერ არავის გამოსვლია. ქართულ სინამდვილეში, ყველა ადამიანი, ძალა, რომელიც ეკლესიას დაეჯახება, თავის არსებობას ცუდად ამთავრებს. ვისურვებდი, ახლაც მათი მცდელობები მათივე მარცხითა და ჩვენი გამარჯვებით დასრულდეს.



**თამარ შველიძე**

# დღევანდელი ევროპარლამენტი არის „ქარვასლა“, სადაც თანხის სანაცვლოდ ყველანაირი სამარცხვინო გარიგებაა შესაძლებელი



*„საერთო გაზეთთან“ საუბრობს მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ დამფუძნებელი ვატო შაქარიშვილი:*

**- ვატო, როგორ შეაფასებდით ევროკავშირის რეზოლუციას, რომელიც რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა. რა იყო მისი მიზანი?**

- ეს რეზოლუცია, როგორც წინა რეზოლუციები, მის ავტორებზე მეტად მეტყველებს, ვიდრე ადრესატზე, ამ შემთხვევაში, საქართველოზე. ეს არის აბსურდული, ევროპულ სამართალსა და ევროპულ ფასეულობებს აბსოლუტურად აცდენილი დოკუმენტი. წინა რეზოლუციებზეც პასუხი ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებმა გასცეს, როგორიც იყო, მაგალითად, სტასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რაც იმის აღიარება იყო, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციები სრულ შეუსაბამობაშია ევროპულ სამართალთან და ევროპულ ფასეულობებთან.

ზოგადად, 2019-2024 წლის მოწვევის ევროპარლამენტმა თავი დაამახსოვრა ევროპას და მთლიანად მსოფლიოს კორუფციული თუ პოლიტიკური სკანდალებით. მათ შორის გამორჩეული იყო ეგრეთ წოდებული კატარგეითის კორუფციული სკანდალი, როდესაც არც მეტი, არც ნაკლები, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი ევა კაილი დიდ კორუფციულ სქემაში ჩართული აღმოჩნდა და მისი სახლიდან ამოიღეს ქრთამის სახით მიღებული 600 ათასი ევრო. მასთან ერთად პასუხისგებაში მისცეს რამდენიმე ევროპარლამენტარი, რამდენიმეს შეუწყდა იმუნიტეტი და სულ ახლახან გაირკვა, რომ კონკრეტული ევროპარლამენტარები დაგეგმილ არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით რუსეთისგან იღებდნენ ფულს. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ევროპარლამენტი არის, რეალურად, ქარვასლა, სადაც მიდის ვაჭრობა და, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ევროპარლამენტის რეზოლუციაში ნებისმიერი სამარცხვინო წინადადების ჩაწერაა შესაძლებელი.

მათ მიერ წარმოდგენილი ფორმულა, რომლის მიხედვითაც, სისხლიანი, დამნაშავე რეჟიმის შემოქმედი სააკაშვილი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, ქვეყნის ყველაზე დიდი ქველმოქმედი, ბიძინა ივანიშვილი კი უნდა დაისაჯოს და დასანქცირდეს, - საქართველოში ადეკვატურად იქნება შეფასებული. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის. დოკუმენტი, სადაც ასეთი ფორმულა წერია, რა თქმა უნდა, სამარცხვინოა და აზიანებს, პირველ რიგში, თავად ევროკავშირს, რადგან ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რომ ეს იყო ერთგვარი კარის გაჯახუნება ევროპარლამენტისგან, რომელიც ამ შემადგენლობით მუშაობას ამთავრებს. ეს იყო მუშტის მოქნევა უკანასკნელი ჩხუბის შემდეგ.

**-აღნიშნული დოკუმენტი საზოგადოების იმ ნაწილისთვისაც კი მიუღებელი აღმოჩნდა, ვინც კანონპროექტს აპროტესტებს.**

- რადგან უკვე ყველამ დაინახა, რომ ტყუილითა და აბსურდით საქართველოში ადამიანებს შეცდომაში ვეღარ შეიყვანენ, ვეღარ გამოიყვანენ ქუჩაში პროტესტისა და დესტაბილიზაციისთვის, - ოპოზიციას სჭირდებოდა დამატებითი საბაბი და სწორედ ამას ემსახურება ევროკავშირის რეზოლუცია. დარწმუნებული ვარ, ცოტას თუ წაუკითხავს რეზოლუციის ორიგინალი ტექსტი და უმეტესობა მხოლოდ ტელეკომპანია „ფორმულას“, „მთავარი არხის“ და „ჭუტა-ტვ“-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა, მაგრამ ვინც ტექსტი წაიკითხა, ნახავდა, რომ ძალიან ფრთხილად არის საუბარი ვიზალიბერალიზაციაზე. იქ არ წერია, რომ ეს აუცილებლად უნდა შეჩერდეს, ან გადაიხედოს, - სხვა ფორმულირებაა. თუმცა, რადგან რეზოლუციაში სიტყვა „ვიზალიბერალიზაცია“ ჩაიწერა, ჩათვალეს, რომ ეს იქნებოდა საგანგაშო საქართველოს მოსახლეობისთვის და სტიქიურად გამოვარდებოდა ხალხი ქუჩაში.



ირგვლივ ღია საინფორმაციო ველია, საქართველოს მოსახლეობა კი უფრო მეტად ინფორმირებული, მომზადებული და შეიარაღებულია, ვიდრე ეს იყო თუნდაც ერთი წლის წინ. და საერთოდაც, მოხდა ამ ევროპარლამენტარების, ელჩების, სხვადასხვა ყოფილი თუ მოქმედი უცხოელი პოლიტიკოსის დესაკრალიზაცია, ანუ მათი ნათქვამი, საბედნიეროდ, აღარ არის აპრიორი ჭეშმარიტება საქართველოს მოსახლეობისთვის, ექვემდებარება კრიტიკას და ანალიზს და თუ 14 სენატორი ან 250 ევროპარლამენტარი იტყვის ტყუილს, - ეს ტყუილი ვერასდროს გახდება სიმართლე! შესაბამისად, ასეთმა ავანტიურამ ძალა დაკარგა.

**- თუმცა, საგულისხმოა, რომ ნიკა გვარამიასა და გიული ალასანიას გამოჩენა ევროპარლამენტის სხდომათა დარბაზში, შესაძლოა, გარკვეულწილად, რეზოლუციის ნარატივსაც უკავშირდება.**

- ცხადია. „რუსულმა კანონმა“ „ფარამ“, რომელიც ამერიკაში მოქმედებს, გასულ წელს გვამცნო, რომ კონკრეტული ლობისტური კომპანიები გარკვეული თანხის სანაცვლოდ საქართველოს წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებენ. აორგანიზებენ შეხვედრებს სენატორებსა თუ ევროპარლამენტარებთან, სთხოვენ მათ განცხადებების გაკეთებას და თემურ ალასანიასა და სააკაშვილის ოჯახის მიერ ამ ქვეყნის დაყაჩაღების ხარჯზე ნაშოვნი ფული სწორედ საქართველოს წინააღმდეგ კამპანიის წარმოებას ხმარდება. სწორედ „ფარას“ დოკუმენტაციით გახდა ცნობილი, რომ ამაში ჩართული იყვნენ სენატორები, კონგრესმენები, ევროპარლამენტარები და მათი თანაშემწეები, რაც აჩვენებს იმას, რომ ევროპარლამენტში ბიუროკრატია ძალიან მაღალ ნიშნულზეა.

მათმა პოლიტიკამ კრახი განიცადა და დააზიანა თავად ევროპული სახელმწიფოები, ევროპელი ხალხი. იცით, რომ კატასტროფულად არის გაძვირებული ცხოვრება ევროპაში, თვეებია, ფერმერების უპრეცენდენტოდ მასშტაბური პროტესტი მიდის. ეს ყველაფერი კი უგუნური პოლიტიკის შედეგია. მაგალითად, არის ქვეყნები - უნგრეთი, სლოვაკეთი, ნიდერლანდები, რომლებიც ევროკავშირის პოლიტიკას მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებიან. საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა გასულ წელსაც გააკეთა ასეთი განცხადება, როგორიც ახლა, რომ ევროპამ უნდა შეამციროს აშშ-ზე დამოკიდებულება, საკუთარ უსაფრთხოებაზე თავად უნდა იზრუნოს და არ უნდა იყოს ამერიკის ვასალი! ჩვენ სხვას კი არაფერს ვითხოვთ, როდესაც ვამბობთ, რომ გვინდა პარტნიორობა, გვინდა მეგობრობა, მაგრამ არ გვინდა და არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებით არავის ვასალი!

**- როგორც ჩანს, დიდ ქვეყნებს აქვთ ამის გაცხადების უფლება, ჩვენ კი ამის გამო გვამუნათებენ.**

-მოუწევთ, ამ რეალობას შეეგუონ. მიუხედავად იმისა, თუ როგორია მოსახლეობის რაოდენობა, როგორია ჩვენი ტერიტორიული მოცულობა. მიუხედავად იმისა, როგორია ჩვენი შეიარაღება ან ეკონომიკა, რაც ბოლო წლებში საკმაოდ მზარდია, - გაიზარდა ჩვენი ქვეყნის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენი ფასი. ეკონომიკურად, ლოგისტიკურად, ფინანსურად და ყველა მიმართულებით არის ჩვენი ქვეყნის ფასი გაზრდილი და ეს მოცემულობა უნდა გამოვიყენოთ გონივრულად, პრაგმატულად, მშვიდობიანად იმ ახალ წესრიგში, რომელიც მალე დადგება მსოფლიოში. უნდა დავიმკვიდროთ ღირსეული ადგილი, რათა გავაგრძელოთ ქვეყნის გრძელვადიანი სტაბილური განვითარება, მოვახერხოთ მშვიდობით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს მონაპოვარი არ უნდა იყოს მყიფე და ვერავინ უნდა შეძლოს გარედან ამ ყველაფრის დანგრევა.

**- იმედია, არჩევნების შემდეგ ევროპარლამენტში ეს ადამიანები ვეღარ შევლენ, მაგრამ ასე თუ არ მოხდა, დააზიანებს თუ არა აღნიშნული დოკუმენტი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობას?**

- რა თქმა უნდა, დააზიანებს თავად ამ გაერთიანების იმიჯს ქართველი ხალხის თვალში. თუ ქართველს ეტყვი, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია გადის სააკაშვილის თავისუფლებაზე, გვარამიას ხელისუფლებაში დაბრუნებაზე, ივანიშვილის დასანქცირებაზე, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია დამოკიდებულია ლგბტ პროპაგანდაზე, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია გულისხმობს სუვერენიტეტის დათმობას... რა თქმა უნდა, ქართველი კაცი გეტყვის, რომ არ უნდა ასეთ გაერთიანებაში გაწევრიანება. წევრობა, რომელიც ჩემი ქვეყნის თავისუფლებას ზღუდავს, რომელიც ჩემი ქვეყნის სუვერენიტეტს ზღუდავს, რომელიც ჩემს ტრადიციებს უგულებელყოფს - რატომ უნდა იყოს მიმზიდველი?! მაქვს თავისუფალი ვაჭრობა, მაქვს თავისუფალი მიმოსვლა, რაც არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მონაპოვარი და ეს ხელშესახები სიკეთეა, მაგრამ თუ ევროპა ითხოვს პირდაპირ ჩემი ქვეყნის ინტერესების ღალატს, მაშინ ჩვენი პასუხი იქნება - „არა“.

**- როგორ ფიქრობთ, რა იყო რეალური მიზეზი იმისა, რის გამოც „რუსულად“ წოდებულმა კანონპროექტმა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, ასეთი ხმაური და აჟიოტაჟი გამოიწვია?**

- ხმაური იმიტომ კი არ გამოიწვია, რომ თვითონ კანონის შინაარსია მიუღებელი, - ეს არის ტესტი იმაზე, საქართველო არის თუ არა სუვერენული ქვეყანა, მიეცემა თუ არა მას უფლება, თვითონ გადაწვიტოს, როგორი კანონი მიიღოს და როგორი - არა! ამიტომ არის ასეთი ზეწოლა ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან. საქართველო ამ ტესტს აუცილებლად ჩააბარებს, რადგან ეს არის არჩევანი, თუ როგორ ქვეყანაში გვინდა ცხოვრება: გვინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც მოსკოვიდან, ბრიუსელიდან, ვაშინგტონიდან, პარიზიდან და ბერლინიდან გადაწყვეტენ ჩვენი ქვეყნის ბედს, თუ გვინდა, საქართველოში მივიღოთ გადაწყვეტილებები ჩვენი აწმყოსა თუ მომავლის შესახებ?!

ახლა ითხოვენ, რომ წარსულსაც გადავუსვათ ხაზი და ჩამოვშალოთ ის, რამაც აქამდე მოგვიყვანა, როგორიცაა „ენა, ამამული, სარწმუნოება,“ რომლის რევიზიაც მოახდინეს. 29 აპრილის შეკრება იყო ძალიან მნიშვნელოვანი დღე ამ ყველაფერზე პასუხის გასაცემად და ეს იყო დასტური იმისა, რომ - არ გამოუვათ! 29 აპრილს მშვიდობიანად გასცა ხალხმა პასუხი ყველა კითხვაზე და დაუჭირა მხარი არჩეული ხელისუფლების გადაწყვეტილებას. სხვა ფორმა აღარ არსებობს იმისათვის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხმა თავისი ნება გამოხატოს. ეს იყო საერთო სახალხო მანიფესტაცია, როდესაც ათასობით ადამიანი გამოვიდა ჩვენს პატარა ქვეყანაში და საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა.

ნონა ქარქაშაძე

# ემანუელ მაკრონი: „ჩვენ, ევროპელები, აშშ-ის ვასალები არ ვართ!“



ცხელი წერტილები მსოფლიოში საკმაოდ ბევრია. თუმცა, პოლიტოლოგები მესამე მსოფლიო ომის რეალურად არსებობას არ აღიარებენ. რატომღაც დამკვიდრდა მოსაზრება, რომ ახალი მსოფლიო ომის დაწყებად ბირთვული იარაღის გამოყენება ჩაითვლება, მაგრამ რეალურად სწორედ მაშინ დადგება სამყაროს არსებობის დასასრულის დასაწყისი. ასეთია არაერთი დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტის პესიმისტური პროგნოზი.

განსაკუთრებული კვლევა-ანალიზი არ სჭირდება დღეს მსოფლიოში არსებულ ვითარებას, რათა ვირწმუნოთ, რომ ქვეყნიერება საშიშროების პირასაა. რეალური ომია ახლო აღმოსავლეთში, სადაც ისრაელსა და პალესტინას შორის მიმდინარეეობს ბრძოლები. ჩვენს მეზობლად, უკრაინაში, უკვე ორ წელზე მეტია, სასტიკი ომი მიმდინარეობს რუსეთსა და უკრაინას შორის. ამ ეტაპზე მტყუან-მართლის გარჩევა ზედმეტია. აქ




საყურადღებოა ის გარემოება, რომ საომარი ვითარების შეჩერებაზე არავინ ფიქრობს, პირიქით, ძლიერი თუ მდიდარი ქვეყნები ახალისებენ კიდეც მიმდინარე ბრძოლებს.

ხანგრძლივი, ექვსთვიანი დებატების შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკრაინის, ისრაელისა და ტაივანისთვის 95 მლრდ სამხედრო დახმარების პაკეტი დაამტკიცეს. მართალია, დახმარება სამ ქვეყანაზეა გამოყოფილი, მაგრამ მთავარი მიმღები უკრაინაა, რომლისთვისაც 61 მლრდ-ია გათვალისწინებული. საინტერესოა, რომ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი კონგრესმენები განვლილ პერიოდში უკრაინისთვის ფინანსური დახმარების გამოყოფას ეწინააღმდეგებოდნენ. მათთვის პირველ ადგილზე საკუთარი ქვეყნის არალეგალი მიგრანტებისგან საზღვრების დაცვა იყო. თუმცა, ვითარება რადიკალურად შეიცვალა და მოსალოდნელია, კონგრესის სპიკერს, რესპუბლიკელ მაიკ ჯონსონს თანამდებობის დატოვებაც მოუხდეს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მით უფრო, აშშ-ში, ყველაფერია მოსალოდნელი.

ახლა პოლიტოლოგების მსჯელობის მთავარი თემაა, თუ რა სარგებელს მოუტანს აღნიშნული ფინანსური დახმარება მიმღებ ქვეყნებს. ყოველგვარი კამათის გარეშე ექსპერტ-პოლიტოლოგები ერთხმად ასკვნიან, რომ ვითარება რეგიონებში კიდევ უფრო დაიძაბება. ჩინეთი ჯერ მხოლოდ შორიდან აკვირდება ყოველივეს, მისი ხელისუფლების წარმომადგენლები მკვეთრ განცხადებებს არ აკეთებენ, მხოლოდ მოკლედ ამბობენ, რომ ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია და მის გამოყოფას არ დაუშვებენ.

აღსანიშნავია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის ჩინეთში ვიზიტი, რომელიც გასულ კვირას განახორციელა. მსოფლიოს გამოცემები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, თუ როგორ ელოდებოდა ჩინეთის მმართველი სი ძინპინი სტუმარს, რომელმაც შეხვედრაზე დაგვიანა. ბლინკენი მასპინძლებს ურთიერთობის გაწყვეტითაც კი დაემუქრა, თუ რუსეთთან თანამშრომლობას განაგრძობენ. სამაგიეროდ, მუსიკალურ მაღაზიაში ჩინელი როკერის ალბომი შეიძინა. აშშ-ის პრესამ ბლინკენის ვიზიტი, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში მისი ვოიაჟები, ტრადიციულად, არაფრისმომცემად შეაფასა.

განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას უკრაინისთვის გამოყოფილ 61-მილიარდიან პაკეტზე. თანხის 80% აშშ-ში დარჩება, რაც მათთვის გადასაცემი იარაღის წარმოებაზე დაიხარჯება. შეგახსენებთ, რომ დახმარების პაკეტი უკრაინას კრედიტით, ანუ ვალად გადასცეს. მთავარ საკითხად რჩება, თუ რა შედეგს მოუტანს უკრაინელებს ეს დახმარება ბრძოლის ველზე. ევროპელი და ამერიკელი სამხედრო ექსპერტების შეფასებით, მილიარდებიანი შეიარაღების გადაცემა საკმარისი არ იქნება, რადგან უკრაინის არმია ცოცხალი ძალის დეფიციტს განიცდის, ქვეყანაში მობილიზება ნელი ტემპით მიმდინარეობს, ფაქტობრივად, ჩავარდა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ახალწვეულების გაწვრთნას ხანგრძლივი დრო სჭირდება, ისინი კი ცაიტნოტში არიან.

კვლავ მსჯელობენ უკრაინაში ევროპის გაერთიანებული ჯარების გაგზავნაზე. აშშ წინააღმდეგია ნატო-ს ჯარების უკრაინაში შეყვანაზე, რადგან ეს რუსეთთან ომის გამოცხადების ტოლფასი აღმოჩნდება, ეს კი თეთრი სახლის ადმინისტრაციას არ სურს, მით უფრო, წინასაარჩევნოდ. არსებობს ასევე იდეა, ევროპის ქვეყნებმა ნატო-ს ეგიდის გარეშე გაგზავნონ თავიანთი ჯარები უკრაინელების დასახმარებლად. განსაკუთრებით აქტიურობს საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი. გასულ კვირას სორბონის უნივერსიტეტში გამოსვლისას მან კვლავ წამოაყენა ევროპის გაერთიანებული ჯარების შექმნის იდეა, სადაც საფრანგეთის არმია იქნება ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ამისთვის საკუთარი ქვეყნის ბირთვული იარაღიც შესთავაზა. „...ჩვენ, ევროპელებმა, უნდა დავამტკიცოთ, რომ აშშ-ის ვასალები კი არა, სუვერენულები ვართ“, — განაცხადა მაკრონმა.

საფრანგეთის პრეზიდენტის სიტყვებმა ევროპელი პოლიტიკოსების უმრავლესობა შეაშფოთა. დიდი ალბათობით, რუსეთი ბირთვულ შეიარაღებას იმ შემთხვევაში გამოიყენებს, თუ უკრაინის მხარეზე, საომარ მოქმედებებში ოფიციალურად ჩაერთვება რომელიმე სხვა ქვეყანა. ყოველივე ამის შესახებ ღიად განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ევროპელი პოლიტიკოსების ნაწილი უკრაინისთვის შეიარაღების, მათ შორის, უახლესი ტექნიკის მიწოდების გაზრდაში ხედავს. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ალიანსის წევრ ქვეყნებს მოუწოდა, გაზარდონ შეიარაღების წარმოების ხარჯები.



ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი რიში სუნაკი გასულ კვირას გერმანიაში კანცლერ ოლაფ შოლცს შეხვდა. სუნაკის ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო, დაეყოლიებინა გერმანელები უკრაინისთვის „ტაურუსის“ ტიპის რაკეტების გადაცემაზე. შოლცი კვლავ შეუვალი იყო. მისი განცხადებით, ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი დახმარება მისმა ქვეყანამ გაუწია (28 მლრდ ევრო). ამ ეტაპზე მეტის გაკეთება, მით უფრო, „ტაურუსის“ გადაცემა არ შეუძლიათ. ექსპერტების შეფასებით, რუსეთთან კონფრონტაცია არც შოლცს სურს.

აშშ და ევროპის ქვეყნები აქტიურად ცდილობენ რუსეთის დამარცხებას, მაგრამ არ ითვალისწინებენ მე-20 საუკუნის ერთ-ერთი დიდი პოლიტიკოსის, აწ გარდაცვლილი ჰენრი კისინჯერის აზრს, ისევე, როგორც არც ბევრ მის გამონათქვამს: „...რუსეთი ყოველი მარცხის შემდეგ აღორძინებას იწყებს, რასაც 10-15 წელს ანდომებს. რუსეთის სრული განადგურებისთვის საჭიროა მისი დანაწევრება“.

რთული ვითარება რჩება ახლო აღმოსავლეთში. გასულ კვირას ისრაელის არმიამ სარაკეტო შეტევა განახორციელა ღაზას სექტორის სამხრეთით მდებარე ქალაქ რაფახზე. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ უახლოს მომავალში სახმელეთო ოპერაციის დაწყებასაც არ გამორიცხავს. შეგახსენებთ, რაფახში უამრავი დევნილი იმყოფება და შეტევას ბევრი მშვიდობიანი მოსახლე შეეწირება.

მოძრაობა „ჰამასმა“ გასულ კვირას გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, სადაც ორი მძევალი საკუთარი ოჯახის წევრებს მიმართავს და იმედეოვნებენ, რომ ისრაელსა და „ჰამასს“ შორის ტყვეებისა და მძევლების გაცვლა მალე მოხდება. ეგვიპტის დედაქალქ ქაიროში მიმდინარეობს მოლაპარაკებები ტყვეების გაცვლაზე, ჯერჯერობით, უშედეგოდ. თავის მხრივ, „ჰამასი“ მოითხოვს, ტყვეების გაცვლაში მთავარი გარანტორის ფუნქცია რუსეთმა ითავოს.

პალესტინელების მხარდამჭერმა აქციებმა აშშ-ის ქალაქები მოიცვა. გამოსვლები იმართება უნივერსიტეტებში. აქციებს მართავენ ისრაელის მხარდამჭერებიც. პოლიცია მკაცრად ეპყრობა პალესტინელების მხარდამჭერებს, ხშირად გადაჭარბებულ ძალასაც იყენებს. კონგრესის სპიკერი მაიკ ჯონსონი პალესტინელების მხარდამჭერ აქციებში მონაწილეების დაპატიმრებას (?!) მოითხოვს. პოლიტოლოგები შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ ტრუმენის პრეზიდენტობის შემდეგ აშშ შიგნიდან პოლიტიკურად ასე გახლეჩილი არ ყოფილა.

უცნაური, შეიძლება ითქვას, სკანდალური შემთხვევა მოხდა გასულ კვირას თურქეთში. ქვეყანაში ჩავიდა გერმანიის პრეზიდენტი ვალტერ შტაინმაიერი, რომელიც თავდაპირველად ოპოზიციისა წარმომადგენლებს შეხვდა. მასპინძელი ქვეყნის განაწყენებულმა პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა უარი თქვა მასთან შეხვედრაზე და ერაყში გაემგზავრა...

სომხეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის წინააღმდეგ, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვას ედავებიან. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას ხანგრძლივი დროით პატიმრობა ელოდება.

ბევრი უცნაურობა ხდება თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, როდის გადაწონის უგუნურებას კეთილგონიერება, უცნობია.

**გია ბურდული**



# ასეთი უნდა იყოს პოლიციელი!

ეს ვინაა, სად ვარ?

— ბიჯო, შენ ვინა ხარ, სადა ვართ? — მბრძანებლური ტონით ვეკითხები ვიღაც ვირიშვილს, რომელიც ეგრევე არ მევასა, მაგრამ ცხაურს მიღმა იყო.

— უკულტუროებს არ ველაპარაკები, — მომიგო გაურკვეველი წარმოშობის არსებამ.

— ბიჯო, თავ-ყბა არ გაგინგრიო, სადა ვართ?! — ეჭვის განსამტკიცებლად ვკითხე, თორემ კი მივხვდი, სადაც ვიყავი.

— ლაპარაკი! — იქუხა ფორმიანმა გაუგებრობამ.

ვაჰ, გადავქექე მეხსიერება და აზრზე არა ვარ, რა დავაშავე, ან აქ რა მინდა.

— აქ ამას გადაიწერთ, მერე განმარტებას მიაწერთ და მოწყდი! კეთილშობილი აღმოჩნდა ის ბიჭი და არ გიჩივის,...— სიტყვები დედინაცვალივით მომიგდო ტიპმა.

კაცო, ცოტა მართლა ვერ ვარ, მაგრამ ეს რას მასწავლის, რა როგორ დავწერო, ან რა კეთილშობილი ტიპი? ბევრი ლაილაის მერე გავარკვიე, რომ ვიღაც მიცემია. ამათი გაგებით, მიძალადია და ფიცი უნდა დავდო, რომ იგივეს აღარ გავიმეორებ, — მთავარი ის არის, რომ ტიპი არ მიჩივის. ბიჯოოო, თავი ტრიალებს, მილიცია მინდა? მეთქი, ტიპი მაიყვათ! ტიპი არა, ისა, მოაწერე ხელი, რასაც გეუბნები და მოშორდი, დავიღალეო, — ეს ალა მაჰმად ხანის კლასელი მეუბნება.

სასტიკად გავჯიქდი, მეთქი, არა, მაგაზე ხელს ვერ მოვაწერ,



ხო უნდა ვიცოდე, რა დააშავა?

— ბიჭო, იმან კი არა, შენ დააშავე, სცემე! — მიღრიალა იმ ჩვენისამ.

— რატო ვცემე! — აქედან მე ვიყვირე.

— ჰოდა, თქვი!

— ტო, რა ვთქვა, აზრზე არა ვარ, ვინ ვცემე, მაიყვათ ტიპი! — ლამის ვედრება დავიწყე.

— ბიჭო, ამხელა კაცი ხარ, ქართული გადასარევად გესმის, რა შარზე ხარ, რა გინდა? — საწერკალამს ადგილი ვერ მოუძებნა და კინაღამ მე შემარჭო თვალში. დილის ექვსის ნახევარია, გესმის?

— მერე მე რა ვქნა, მზე გადავწიო? ფუ, შენი, სიგარეტიც გამთავებია, — ჩავიბურტყუნე და ის ნახევარქათამა მეუბნება, მე არ ვეწევი, მაგრამ მაქვსო.

ბოჯოოოო, პახმელიაზე მილიციაში ვარ, ყველა მე მეკაიფება?

ჯერ იმას დავაკვირდი კარგად, მერე ამ საუკუნეების გადმონაშთს, მერე ცხაურს და დავიჯერე, რომ „იქა“ ვარ, მაგრამ სადა? მეთქი, უფროსო, ტერიტორიულად სად ვარ?

— ვარკეთილი! — მომიგდო ძუნწად.

ვაჰ, რა მინდოდა ვარკეთილში? მაგრად დავდუმდი — არაფერს არ მაძლევდა ვარკეთილი. რა მინდა ვარკეთილის მილიციაში?

აზრი არ ჰქონდა ლაპარაკს, მაგრამ ვფიქრობ, რამე ხომ უნდა ვთქვა. ბიჯო, ჩავაკვირდი და გაზეთი უდევს. უდევს კარგია — იტანჯება. მეთქი, აქ რა მინდა, მაინც ვერ მოვალ აზრზე და მაიტა, მოვეხმარო, — ეგრე ვიფიქრე, მეც გავერთობი და, მეთქი, რა არის, კროსვორდმა გაგჭედა? ცერად შემომხდა — ყველაზე მოკლე მდინარეო. მეთქი — პო.

— საქართველი-დაღესტნის გადასვლელი მონაკვეთი! — ისე მიყვირა, გვერდზე კამერაში ეს ჩემის მოკრძალებული ფრონცკი შეხტა..

მეთქი, ბიჯო, ოფიციალურს მეკითხები თუ ბიტავოის? — რა ვიცი, ალალად ვკითხე.

მოიცა, მოვალ ახლაო და გავარდა — ვაჰ, რა კარგია ჯიგარი სირი, მაგრამ დატრენინგებული შს რობოტია და რა ქნას!?

მობრუნდა, ხელზე გამომიბა და გეთ!

მეთქი, ნეტავ, რა უნდა? მაგრამ პახმელიას ვერ გავურბივარ და ვარ რა, ტანჯვაში, მეთქი სად მივყავარ?

ჩემი აზრით, მილიციის უფროსის კაბინეტში შემათრია, ნუ შემიყვანა, მაგრამ მთლად მასეც არ არის, არ ჰგავს მილიციას. ბიჯო, თავი ბჟუის... ტიპი ზის და უკვე იღიმის. როცა მილიციელი იღიმის, ეგ ცუდია, დიდი სროკია, ვიცი და ვარ რააა...

— თქვენ საქართველო-დაღესტნის გადასასვლელები გცოდნიათ! — კითხვა-პასუხს ერთად შეიცავდა შეკითხვა.

მეთქი, ეგრეა, ვიცი! — ვუპასუხე მედგრად....

სახეზე შეეტყვე, რომ ამ პასუხის გარდა, ყველაფერს მოელოდა.

— ბიჯო, სერიოზულ კაცს ჰგავხარ, იცი, ახლა შენ რას ლაპარაკობ? — ეჭვნეულად მკითხა ჩემ გაგებაში პოლიციის უფროსმა.

— კი, ვგავარ, მაგრამ მასეც არ არის, რა დავაშავე?

— ბიჭო, არ იცის? — გადახედა ალა მაჰმად ხანის კლასელს, მაგრამ ის უკვე სუსლოვის კლასელს ჰგავდა.

მეთქი, უფროსო, უკვე კი, ვიცი, მაგრამ ან ის ტიპი მაჩვენეთ, ან გამიშვით, ან დამიჭირეთ ბოლომდე, გამისკდა თავი-მეთქი.

დაღესტნის გადასასვლელებზე მითხარი და ეხლავე გიშვებო. მეთქი — ფშლაე, წუმბერეხის წვერი ყოფს — ეგა, დიკლოს ხაი და ეფცოხის ბილიკები...

— კაცო, შენ ნორმალური ხარ?! — მიყვირა.

ვროდიბი-მეთქი.

ბიჯო, ვინა ხარო?

ვუთხარი.

შენნაირი ადამიანები არ არსებობენო, — ისევ მიყვირა.

ვაჰ, ჯერ ის არ ვიცი, აქ რა მინდა, ეხლა ეს მიყვირის იმაზე, რაც თვითონ მკითხა — თავი გარბის.

იცი, ეხლა რას გიზამ, რვა წელი მოგაჯდება ბეჭზეო.

მეთქი, რვა წელი? მასეთი რა ვცემე?

— არ გიჩივის ის ტიპი, დაივიწყე, ჯაშუშობაზე წახვალ!.. რატომ იცი ეგ გზები, რა დაგქონდა?

რა საიდუმლო გზები, ეგ მინდოდა?! ტიპი ყვიროდა და ვიჯექი უბედური, ერთი ჭიქა წყალი მაინც მოეცათ.

— პახმელიაზე ხარ, ხო? — რატომღაც დაწყნარდა და ალალად მკითხა.

კი-მეთქი. დათო, მიდი, რამე მოიტანეო... ნუ, დათომ მოიტანა.,... ეს ის საზიზღარი დათო იყო... — ცირეკიძე — არც ამის თქმას მოვერიდები.

— სერიოზულ კაცს ჰგავხარ, აბა, ახლა გაიმეორე, რაც წეღან მითხარიო და კალამ-კალმისტარი მოიმარჯვა.

რა თქმა უნდა, ჩამოვარაკრაკე და კაი „ენისელიც“ მივაყოლე.

„ენისელმა“ მე კი ამომასუნთქა, მაგრამ თვითონ ის ბოლთას სცემდა, რაღაცაში ვერ იყო ბოლომდე გარკვეული და ამასობაში მეც ცოტა მომეშვა. გავკადნიერდი, მეთქი, უფროსო, რამე ისეთი თუ გაწუხებს, მკითხე-მეთქი.

ბიჯო, შენ ახლა იცი, რა მითხარიო?

მეთქი, ვიცი!

არ იციო, — გაიცინა. იქ რა გაკავშირებსო? მეთქი, დედა მყავს თუში და სადაც მიხტუნავია, ყველა ბილიკი ვიცი.

— ეხლა დათო მოვა, სახლში წაგიყვანს და აქ აღარ დაგინახო! — ისე მკაცრად მითხრა, ახლიდან შემიქანდა გული, მეთქი, არ გადაფიქროს.

უფროსო, დათო არ მინდა, ჩემი ხოდით წავალ-მეთქი. მანამდე არ მიმიქცევია ყურადღება და სადა ვყოფილვარ? კაი, მე ვყოფილვარ, ეს შუშურიკა არისტოკრატი რანაირადღა იყო ჩემ გვერდზე? მაგრად ვერ გავიგე ვერაფერი...

დავეშვი ნარიყალადან და ზედ ოსურ რესტორანთან მეცა ორი ტიპი, დროზე, საიდან მოდიხარ, დავაი ჯიბეებიო. ჯიბეში დაჭყეტილი „ისა“ ზის, მაგრამ საიდან მოვდივარ? — მეთქი, იქიდან! — საჩვენებელი თითი ცისკენ აღვმართე. რეალურს ვამბობ.

დროზე! სიტყვა! — ჩამაყუდეს „ჟიგულში“ და ავედით.

აი, ეგეთი დებილი რატომ უნდა იყო?

უი, დაინახეს „ის“ კაცი და გამწვანდნენ, მაგრამ მე?

მეთქი, აგე, ისევ აქ ვარ, — და ვიცინი.

რა დააშავეო. მეთქი, ისევ არ ვიცი, ამათ ეცოდინებათ. დავრჩით ისევ მარტო და იცინის, რაღაც „პრიკლუჩენია“ ხარ, მიყვარს ასეთი ხალხიო. მეთქი, „პრიკლუჩენია“ კაია, სულ მიჭერენ, ოღონდ, არ მერჩიან, მიშვებენ და რა ვქნა, არ ვიცი-მეთქი. აი, ჩემი ნომერი, რომ დაგიჭერენ, ან პირდაპირ აქ მოაყვანინე თავი, ან დარეკე ამ ნომერზეო. მეთქი, ეგ უკვე ვიცი....




არ იმჩნევ, მაგრამ კაი შენძრეული ხარ შენცო....

ჰო-მეთქი, ბავშვობაში მოსამართლეობა მინდოდა...

მოცოცხე აქედანო და უცბად მომქაჩა, მოდი აქაო. ისე, ვინ ხარო? ვუთხარი. რაო? მეთქი, ეგრეა! ხმას რატომ არ იღებდიო? მეთქი, არ გიკითხავთ... აუ, შენ რა შენძრეული ყოფილხარ, ამ ყველაფერს დაწეროო? — მეთქი, კი. იყვირა, ავთო, მოდი დროზეო. ის დათო სიმპათიური მაინც იყო, ეს ავთო მთლად საშინელება როჟა გაეძრო. რა გიქნა ახლაო. მეთქი, არაფერი, წავალ, დამიჭერენ და ამოვაყვანინებ თავს, მანამდე მოიფიქრებთ.

— გამასწარი! — ისე მიყვირა, პირდაპირ სახლში აღმოვჩნდი.

ადამიანი ან ხარ, ან — არ ხარ...

ასეთი უნდა იყოს პოლიციელი!

მე მიყვარდა რომან გვენცაძე!...

ფაქტობრივად, ოდაა პოლიციაზე! განუსაზღვრელი სიყვარულით ვწერ...



**ჩვენს საყვარელ თანამშრომელს, ნიჭიერ, შრომისმოყვარე და წერის მოყვარულ ჟურნალისტს, პასუხისმგებლიან, ყურადღებიან და კეთილშობილ ადამიანს,**

**თამარ შველიძეს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.**

**დაე, კიდევ მრავალი ბედნიერი წელი გაეტარებინოს თავის ძვირფას მეუღლესთან ერთად.**

**„საერთო გაზეთი“**

# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი**

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა

რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)

E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com

რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“

+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99